გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№51 (24.931) სამშაბათი, 24 - 25 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდამთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო, მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკის აღდგენის დინამიკა და საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებები განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველმა დირექტორმა კრისტალინა გეორგიევამ შეხვედრაზე, რომელიც დავოსში პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა.

საუბარი შეეხო ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს მიერ შეტანილ განაცხადს. პრემიერმა აღნიშნა, რომ ევროკომისიის თვითშეფასების კითხვარი საქართველომ ვადაზე ადრე შეავსო და ახლა ქვეყანა შესაბამისი გადაწყვეტილებას ელოდება.

* * *

მივმართავთ რადიკალურ ოპოზიციას, საჯაროდ გამოვიდნენ და კონკრეტულად ჩამოწერონ, რა უნდა გაეკეთებინა და რას არ აკეთებს საქართველოს ხელისუფლება უკრაინის მხარდასაჭერად. საჯაროდ დასმულ კითხვებზე ჩვენც საჯაროდ გაგცემთ პასუხს, იგივეს ველით თქვენ მიერ დაქირავებული ლობისტებისგანაც - ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა და მოუწოდა რადიკალურ ოპოზიციას, შეწყვიტონ აგიტაცია საქართველოს მიერ ევროკავშირში კანდიდატის სტატუსის მიღების წინააღმდეგ.

* * *

საქართველოს ღირსეული და ძალიან მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მქონე თავდაცვის ძალები ჰყავს, რომლის ნატოსთან თავსებადობის ხარისხი ყველაზე მაღალია, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა, - ამის შესახებ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაიამ აღნიშნული კომიტეტის სხდომის შემდეგ განაცხადა, სადაც საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს, გენერალ-მაიორ გიორგი მათიაშვილს მოუსმინეს. მათიაშვილმა დეპუტატებს თავდაცვის ძალების განვითარების ათწლიან გეგმაზე ინფორმაცია მიაწოდა.

* * *

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაცია, კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძის ხელმძღვანელობით, აზერბაიჯანს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, საქართველო-აზერბაიჯან-თურქეთის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თავმჯდომარეების ყოველწლიური სამმხრივი შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა განიხილეს რეგიონში არსებული გამოწვევები. „ჩვენმა მთავრობამ შეიმუშავა სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც კარგი შესაძლებლობაა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზებისთვის“, - განაცხადა ნიკოლოზ სამხარაძემ.

მოამზადა
ია შველიძემ

# გამოფენა და შეხვედრები – აზერბაიჯანში



***აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფებოდა.*** აქ, ქალაქ ბაქოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „CASPIAN AGRO 2022“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს სტენდი გაიხსნა. „CASPIAN AGRO“ კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა, რომელშიც მსოფლიოს არაერთი ქვეყანა მონაწილეობს და 12 000-ზე მეტი ვიზიტიორი ჰყავს. გამოფენის ძირითადი მიმართულებებია: სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ინოვაციური ტექნოლოგიები, მეცხოველეობა და მეფრინველეობა, ცხოველთა კვება, მებოსტნეობა, ხილისა და ბოსტნეულის წარმოება და გადამუშავება.

წელს გამოფენაზე 24 ქვეყანა და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი 450-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია იყო წარმოდგენილი.

გამოფენის გახსნას აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი დაესწრნენ. ქართული სტენდი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ალი ასადოვმა დაათვალიერა, რომელმაც ქართველ მეწარმეებს წარმატება უსურვა და საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მრავალწლიანი მეგობრული ურთიერთობების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

როგორც გიორგი სურმანიძემ აღნიშნა: „ასეთი მასშტაბის გამოფენები ხელს უწყობს მეწარმეების პროდუქციის პოპულარიზაციას. უკვე წლებია, აზერბაიჯანი არის ჩვენი სავაჭრო პარტნიორი. გვქონდა ძალიან საინტერესო შეხვედრები, რაც სამომავლოდ შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას, უფრო აქტიურად იყოს წარმოდგენილი აზერბაიჯანულ ბაზარზე“.

ქართველმა სტუმრებმა მოინახულეს აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური ლაბორატორია, სადაც მხარეებმა თანამშრომლობის გაღრმავების, ასევე, თევზის, თაფლის და თამბაქოს ლაბორატორიული კვლევის მეთოდების გაზიარებისა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს. გიორგი სურმანიძემ აზერბაიჯანში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი თამბაქოს საწარმოც დაათვალიერა. განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები სოფლის მეურნეობის სფეროში, მათ შორის, მნიშვნელოვანი იყო თამბაქოს რეალიზაციის საკითხი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და ახალი ბიზნესკავშირების დამყარება.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო იმ გამოცდილების გაზიარება, რაც აზერბაიჯანის თამბაქოს საწარმოში თანამედროვე ტექნოლოგიების, ეფექტიანი და ეკონომიკური სისტემების დანერგვისა და გამართული ლოგისტიკის მიმართულებით არსებობს“, - აღნიშნა გიორგი სურმანიძემ.

ვიზიტის ფარგლებში, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ზურაბ პატარაძე, აზერბაიჯანის სურსათის უსაფრთხოების სააგენტოს უფროსს გოშკარ თაჰმაზლის შეხვდნენ. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს. აქცენტები გაკეთდა აზერბაიჯანში თამბაქოს, თაფლის და ციტრუსის ექსპორტის შესაძლებლობებზე. გიორგი სურმანიძემ ხაზი გაუსვა ქართული პროდუქციის საექსპორტო შესაძლებლობებს. შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს რეგიონში აგრარული სექტორის პოტენციალი და შესაძლო ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივები.

შეხვედრის ბოლოს მხარეებმა ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ელენე საყვარელიძე


## აჭარის პოლიციის დანაყოფებს 32 ახალი ჰიბრიდული ავტომობილი გადაეცა 2

## «რუსეთი ერჩის ყველა მეზობელ ქვეყანას, რომელსაც ევროპული ოჯახის წევრობა სურს» 3

## რა ადგილს დაიჭერს საქართველო მსოფლიოს ახალი წესრიგის პირობებში? 4

## ზურაბ შილაკაძე: თეატრიდან წამოვედი, მაგრამ თეატრი ჩემთან დარჩა 5



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# აჭარის პოლიციის დანაყოფებს 32 ახალი ჰიბრიდული ავტომობილი გადაეცა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93




***შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, აჭარის პოლიციის დანაყოფებს ახალი, სედანის ტიპის, ჰიბრიდული ძრავის 32 ავტომობილი შეემატა.*** მათგან 25 ავტომობილი საპატრულო პოლიციისთვისაა განკუთვნილი. ავტოპარკის განახლების შედეგად, ბათუმსა და ქობულეთში საპატრულო პოლიციის მხოლოდ ჰიბრიდული ავტომობილები იმოძრავებენ. ახალი, ჰიბრიდულძრავიანი 7 მანქანა ასევე გადაეცა კრიმინალური პოლიციის დანაყოფებს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ავტომობილების გადაცემის ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე, მოადგილეები, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

ვახტანგ გომელაურმა თანამშრომლებს ახალი მანქანების გადაცემა მიულოცა, რის შემდეგაც ავტომობილების ტექნიკურ მონაცემებს და შესაძლებლობებს ბათუმის ქუჩებში, რეალურ პრაქტიკულ პირობებში შინაგან საქმეთა მინისტრი პირადად გაეცნო.

შინაგან საქმეთა მინისტრი აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს გაესაუბრა, რა დროსაც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ სამინისტროში საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზანია საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და პოლიციელებისთვის უკეთესი, კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა.

მისი განცხადებით, ახალი საპოლიციო ტრანსპორტით არის ეკონომიური, შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯები, კერძოდ, საწვავისა და სერვისის ხარჯი, ამავდროულად, ახალ ავტომობილებს მინიმალური გამონაბოლქვი აქვს და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტია.

პოლიციის ახალი ავტომანქანები აჭარის რეგიონისთვის სპეციალურად ტურისტული ზონის საჭიროებებისა და პირობების გათვალისწინებით შეირჩა. ჰიბრიდული ავტომობილები აჭარის საკურორტო ქალაქებში: ბათუმსა და ქობულეთში საპოლიციო საქმიანობის უფრო ეფექტიანად განხორციელებას შეუწყობს ხელს. აჭარის შავი ზღვისპირეთის ქალაქები - ბათუმი და ქობულეთი იქნება პირველი დასახლებები საქართველოში, სადაც ეკოლოგიურად უსაფრთხო და თანამედროვე საპოლიციო ტრანსპორტი სრულად ჩაანაცვლებს საპატრულო პოლიციის მხოლოდ საწვავზე მომუშავე მანქანებს.

აღსანიშნავია, რომ ავტოპარკის განახლების მიმდინარე პროექტში - ახალი ავტომობილებიდან არც ერთი არ არის განკუთვნილი სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელი პირებისთვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგულარულად აახლებს თავის ავტოპარკს. გასულ წელს პოლიციის დანაყოფების ავტოპარკი 700-მდე ავტომობილით განახლდა. აჭარის შემდეგ ახალი, ჰიბრიდულძრავიანი ავტომობილების გადაცემა რუსთავის პოლიციის თანამშრომლებისთვისაც იგეგმება.

# მეოთხე მუნიციპალური კონფერენცია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14



***შუახევის რესურსცენტრის ორგანიზებით და აჭარის განათლების ფონდის, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის მხარდაჭერით, შუახევის სკოლებში დასაქმებულ მასწავლებელთა მეოთხე მუნიციპალური კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით - «მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გამოწვევები და სწავლების ინოვაციური მიდგომები»***

კონფერენცია გახსნა შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ. მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის განათლების ფონდის დირექტორი სულიკო თებიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი თეა ჭანტურიშვილი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების შუახევის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ნატარიძე, განათლების ფონდის დირექტორის მოადგილე ლალი ლომთათიძე.

პლენარული ღონისძიების შემდეგ, სექციებში 55-მდე მოხსენება წაიკითხეს შუახევის სკოლების პედაგოგებმა. სექციურ მუშაობას მოდერატორები ანა ლორია, დალი თურმანიძე, მზია სალაძე, ნანა ვარდმანიძე, კახაბერ ჩაკვეტაძე, ნინო ტავლალაშვილი, ქეთევან ბასილაძე უძღვებოდნენ.

კომენტარი მაია ხაჯიშვილს ვთხოვეთ.

- ასეთი ღონისძიებები სხვა მუნიციპალიტეტებშიც იმართება. კონფერენცია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ პრობლემურ საკითხებს, მსჯელობენ გამოწვევებზე. გვაქვს შესაძლებლობა, ერთმანეთს ვესაუბროთ იმ მიზნებზე, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. ესაა უნიკალურობის შენარჩუნება თითოეული მოსწავლისთვის, მის ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემო. საბოლოო ჯამში, ყველა აქტივობა, თითოეული მასწავლებლის მიერ გადადგმული ნაბიჯი ემსახურება სასკოლო გარემოს გაუმჯობესებას, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

# სამუშაოები განახლდა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14



21 მაისს ისევ მოთოვა მესხეთის, აჭარა-შავშეთის ქედების კალთებზე. ახლად მოსული თოვლის საფარი 10 სანტიმეტრზე მეტი იყო. ამინდის ჭირვეულობას ორგანიზებულ მუშაობას უპირისპირებენ - შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზაზე ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. პროექტი 3 მონაკვეთადაა დაყოფილი და ჯამში რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია 47-კილომეტრიან გზას და 7 ხიდს უტარდება.

კონტრაქტორმა კომპანიებმა გზაზე თოვლის საფარი გაწმინდეს. გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს კურორტ ბეშუმამდე მისასვლელ გზაზეც.

ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში, დაიგება 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის საფარი.

5 კილომეტრამდე მონაკვეთის მოწესრიგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 14.6 მლნ ლარია, ხოლო 42 კმ-იანი მონაკვეთის რეკონსტრუქციას ქუვეითის ფონდი აფინანსებს. გზის სრული რეკონსტრუქცია 2024 წელს დასრულდება.

# ოთხი ოქრო, ორი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97




ბულგარეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე აჭარის კარატეს ფედერაცია შვიდი სპორტსმენით წარსდგა და შესაშურ წარმატებას მიაღწია.

სხვადასხვა ასაკობრივ და წონით კატეგორიაში ჩვენმა სპორტსმენებმა სამივე სინჯის შვიდი მედალი მოიპოვეს.

ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედლები დაისაკუთრეს გიგი ბაკურიძემ, ლუკა შანთაძემ, საბა სურმანიძემ და ჯონი თოფურიამ (პარა კატა).

ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ გიგი ქედელიძე და გოგა გვიანიძე.

ბრინჯაოს მედალს დასჯერდა ნიკა გოგუაძე.

ვულოცავთ ბათუმელ კარატისტებს ამ შესანიშნავ წარმატებას.

ამბები

## შაბათ-კვირის ქრონიკა

„არ მომიკლა დედა“, „არ გაჩუმდე“, „არ დახუჭო თვალები“, „არ იყო თანამონაწილე“ - ამ გზავნილებით ქალთა მიმართ ძალადობის დასაგმობად ბათუმში შეიკრიბნენ. ახალგაზრდებმა მდუმარე პერფორმანსზე პლაკატები მიიტანეს და ანტიფემიციდური წარწერები ტროტუარზე განათავსეს. ისინი აცხადებდნენ, რომ თბილისში მომხდარი მკვლელობა საზოგადოების გულგრილობის გამოძახილია. მათივე განმარტებით, გასაძლიერებელია ქალთა სოციალური მდგომარეობა. ქალთა ძალადობის და ფემიციდის წინააღმდეგ მიმართული აქცია თბილისში, ზუგდიდსა და ბათუმში გაიმართა. შეკრების ორგანიზატორი „საქართველოს შემეცნებითი ცენტრი“ იყო.

* * *

ბათუმის „დინამომ“ ეროვნული ლიგის მე-15 ტურის შეხვედრაში, თელავში, ადგილობრივი კლუბი 0-2 დაამარცხა. ანგარიში 30-ე წუთზე კვარაცხელიამ გახსნა. 10 წუთში დავითაშვილმა მეორე გოლი გაიტანა და პირველი ნახევარი ასე დასრულდა. მეორე ნახევარში გოლები არ გასულა. 15 ჩატარებული შეხვედრის შემდეგ გია გეგუჩაძის გუნდი 34 ქულით პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარს - თბილისის „დინამოს“ 5 ქულით უსწრებს. შემდეგ ტურში ბათუმის „დინამო“ 25 მაისს წყალტუბოს „სამგურალს“ უმასპინძლებს.

* * *

ქობულეთის „შუქურამ“ ეროვნული ლიგა 2-ის მე-13 ტურში „რუსთავი“ მიიღო და მარტივად 3-0 დაამარცხა. ანგარიში მე-4 წუთზე ზურაბ მუსელიანმა გახსნა. 44-ზე კი კომახიძის გადაცემის შემდეგ მუსელიანმა დუბლი შეასრულა და ქობულეთელებმა ტაიმი 2-0 მოიგეს. 71-ე წუთზე ლექვთაძის გადაცემის შემდეგ შეხვედრის საბოლოო ანგარიში 3-0 ვაკო თევდორაძემ დააფიქსირა. 13 ჩატარებული შეხვედრის შემდეგ რევაზ გოცირიძის გაწვრთნილ „შუქურას“ 30 ქულა აქვს და პირველ ადგილზე იმყოფება. მეორე პოზიციას 29 ქულით მარტვილის „მერანი“ იკავებს. მე-14 ტურში „შუქურა“ 28 მაისს „სპაერს“ ესტუმრება.

* * *

ბათუმის საკალათბურთო კლუბი სუპერლიგას ნახევარფინალში გამოეთიშა. სერიის გადამწყვეტი მეხუთე შეხვედრა ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა, სადაც მასპინძელმა ქუთაისის საკალათბურთო კლუბმა „ბათუმი“ 103-82 დაამარცხა და ნახევარფინალური სერია 3-2 „ქუთაისის“ სასარგებლოდ დასრულდა. სუპერლიგის ფინალში ერთმანეთს „ქუთაისი“ და თბილისის „ოლიმპი“ დაუპირისპირდებიან.

* * *

ბათუმის სარაგბო კლუბი ფინალში გავიდა. გუნდმა მეტოქე „ყოჩები“ ანგარიშით 16:7 დაამარცხა. ბათუმმა ბოლო ტურში დიდი 10-ის მოქმედი ჩემპიონი ქუთაისის „აია“ 59:0 დაამარცხა და რეგულარული ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაასრულა. ბათუმელებმა გასულ სეზონში 18 მატჩიდან 17 მოიგეს და მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმეს „ყოჩებთან“.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

# „რუსეთი ერჩის ყველა მეზობელ ქვეყანას, რომელსაც ევროპული ოჯახის წევრობა სურს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*რას წარმოადგენს ქართული სახელმწიფო, რა გეოპოლიტიკური დანიშნულება აქვს ჩვენს ქვეყანას და რას გვერჩის რუსეთი? თემაზე აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ლინგვისტიკა - დიპლომატიურ დისკურსში)* ***ლაშა ბოლქვაძე*** *გვესაუბრება, რომელიც ამავე უნივერსიტეტში მიწვეულია იაპონური ენის ლექტორად*



- სახელმწიფო, ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართლიანობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი, ასევე, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას. რაც შეეხება გეოპოლიტიკურ დანიშნულებას, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რადგანაც ვიმყოფებით ევროპისა და აზიის გასაყარზე, თუმცა არის უამრავი სირთულეც, რაც გამოწვეულია ამავე ფაქტორით. საქართველო გეოგრაფიულად არის სატრანსპორტო გზაჯვარედინი ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, რომელსაც აქვს ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი ფუნქცია, ესაა ძველი აბრეშუმის გზა, რაც ბუნებრივია, ქმნის ნეგატიურ ფონს, განსაკუთრებით რუსეთისთვის.

**- რას გვერჩის ბოლოს და ბოლოს რუსეთი?**

- რუსეთი ერჩის ყველა მეზობელ ქვეყანას, რომელსაც ევროპული ოჯახის წევრობა სურს. მისი მთავარი მიზანია ევროკავშირისა და ნატოს გაფართოების ხელშეშლა, რაც ასუსტებს მის გავლენებს.

**- ჩვენი ქვეყანა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას ესწრაფვის, თუმცა ჯერჯერობით - უშედეგოდ... რა პერსპექტივები ისახება მომავლისთვის?**

- ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისათვის რთულ გზას გავდივართ, გვაქვს ურყევი პოზიცია საგარეო ვექტორთან მიმართებაში, თავის მხრივ, დასავლურ ქვეყნებსაც აქვთ მზაობა, საქართველო მიიღონ თავისი ოჯახის წევრად. გვაქვს პროგრესი, საქართველო ესწრაფვის დიალოგის კიდევ უფრო გაღრმავებას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, რაც წარმატებული რეფორმებისათვის მნიშვნელოვანია. ეს ნიშნავს მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის გაფართოებას, რაც არის საწინდარი პროცესის პრაგმატულად მართვის და დასახულ მიზნამდე მიყვანისა. შესაბამისად, პერსპექტივები არის და უნდა გავაგრძელოთ მიზნისაკენ სვლა.

**- რამდენად გაცნობიერებულია ჩვენი საზოგადოება დასავლურ ფასეულობებში და, საერთოდ, რას ეფუძნება ეს ფასეულობები?**

- დასავლური ფასეულობები ჩვენს საზოგადოებას ღრმად აქვს გაცნობიერებული, თუმცა საქართველო არის პოსტსაბჭოური ქვეყანა და აქედან გამომდინარე, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ცდილობს, დასავლური ფასეულობები უარყოფით ჭრილში დაგვანახოს. საქართველო არის ევროპული კულტურისა და ფასეულობების აკვანი.

**- როგორია მასმედიის როლი და გავლენა სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე და საერთოდ, როგორ შეაფასებდით ჩვენი მედიასაშუალებების საქმიანობას?**

- მასმედიას შეუძლია ძლიერი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს როგორც სახელმწიფოზე, ასევე საზოგადოებაზე. იდეოლოგიური, საინფორმაციო და შემოქმედებითი საქმიანობით მედია ხშირად ახერხებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ამა თუ იმ შეხედულების სასარგებლოდ. მათ მიერ მიწოდებული არასწორი ინფორმაციით ზიანდება ნდობა სახელმწიფოს და საზოგადოების მიმართ, ასევე, ურთიერთობა და ადამიანთა ცნობიერება, შედეგად კი მიგვიყვანს დაპირისპირებამდე, გაუტანლობამდე, სიძულვილის ენით საუბრამდე. რაც მთავარია, მათი მეთოდები დამანგრეველია სახელმწიფოსთვის. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები საკმაოდ შორს არიან მედიაპრინციპებისა და სტანდარტებისგან - ხშირად ირღვევა ეთიკის ნორმები. ქართულ მასმედიაში რადიკალიზაციის ხარისხი არის ძალიან მაღალი, რის გამოც ხდება საზოგადოების პოლარიზაცია.

**- თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსებს, პარლამენტარებს როგორ შეაფასებდით? რამდენად ადეკვატურად და კომპეტენტურად მიგაჩნიათ ისინი ჩვენში განვითარებული მოვლენების ფონზე?**

- მთავარი პრობლემა, რაც შეიძლება ითქვას, არის სოლიდარობის, ტოლერანტობის, ნდობის, ურთიერთგატანის, თანამშრომლობის თითქმის არქონა, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებული საგარეო და საშინაო ურთიერთობების დასამყარებლად და განვითარებისათვის. მათთვის სასარგებლო და პრიორიტეტული იქნებოდა ყოფითი და პოლიტიკური ურთიერთობების შესაბამისობაში მოყვანა. აუცილებელია, ძირეულ საკითხებში, რომლებიც სახელმწიფოსთვის სტრატეგიული და მნიშვნელოვანია, პოლიტიკური პარტიები, მიუხედავად მათი შეხედულებებისა და ურთიერთდაპირისპირებისა, მიდიოდნენ კონსესუსამდე.

**- ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური მომავლისთვის რა არის მნიშვნელოვანი?**

- ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური მომავლისათვის უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, რეფორმების გატარება, რაც სიკეთეს მოუტანს ქვეყანას, პოლიტიკური სტაბილურობა, საგარეო ვექტორის ურყეობა და სიმტკიცე, არჩეული მიზნის ბოლომდე მიყვანა.

**- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით უკრაინა-რუსეთის ომს. ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ ომს სამი მთავარი გამარჯვებული ქვეყანა (უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, აშშ) ეყოლება. იქნება თუ არა ახალი მსოფლიო წესრიგი, რას ფიქრობთ?**

- ადამიანური თვალსაზრისით, უკრაინა არის მსოფლიოსათვის გმირობის მაგალითი. რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანის დიდი სურვილია, უკრაინამ, რომელიც არის სახელმწიფოებრიობის და სიძლიერის მაგალითი, გაიმარჯვოს ამ ომში. ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება აუცილებლად მოჰყვება ამ ომს.

**- დღევანდელ ვითარებაში, მსოფლიო დაძაბულობის ფონზე, საქართველოს სახელმწიფოს როლი, ნაბიჯები როგორი უნდა იყოს?**

- ეს ვითარება ძალიან საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის. ამიტომ ახლა მთავარია სწორი, სტრატეგიული, გააზრებული და დაბალანსებული ნაბიჯები. ეს ყველამ უნდა გაითავისოს - როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ, საზოგადოებამ და მასმედიამ. ყოველი ჩვენგანის ვალი და პასუხისმგებლობაა ქვეყნის მომავალზე ფიქრი.

*„მთავარი პრობლემა, რაც შეიძლება ითქვას, არის სოლიდარობის, ტოლერანტობის, ნდობის, ურთიერთგატანის, თანამშრომლობის თითქმის არქონა, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებული საგარეო და საშინაო ურთიერთობების დასამყარებლად და განვითარებისათვის. მათთვის სასარგებლო და პრიორიტეტული იქნებოდა ყოფითი და პოლიტიკური ურთიერთობების შესაბამისობაში მოყვანა. აუცილებელია, ძირეულ საკითხებში, რომლებიც სახელმწიფოსთვის სტრატეგიული და მნიშვნელოვანია, პოლიტიკური პარტიები, მიუხედავად მათი შეხედულებებისა და ურთიერთდაპირისპირებისა, მიდიოდნენ კონსესუსამდე.*

## ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველოში არსებული სტაბილური და ხელშემწყობი ბიზნესგარემო იაპონიას ჩვენს რეგიონში ახალ საბაზრო შესაძლებლობებს უქმნის




საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, დავოსში ვიზიტის ფარგლებში, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) პრეზიდენტ აკიჰიკო ტანაკას შეხვდა. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, შეხვედრაზე საქართველოსა და იაპონიას შორის პარტნიორული ურთიერთობის მაღალი დონე აღინიშნა და სხვადასხვა მიმართულებით წარმატებულ თანამშრომლობას ხაზი გაესვა. პრემიერმა აკიჰიკო ტანაკას იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურული პროექტების, მდგრადი ეკონომიკური ზრდის და საზოგადოების სტაბილურობის ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილი მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი ღარიბაშვილი ამ შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გამოეხმაურა. „იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს პრეზიდენტ აკიჰიკო ტანაკასთან არსებული პარტნიორობის გაფართოების პერსპექტივებზე ნაყოფიერი საუბარი მქონდა. იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს საქართველოში განხორციელებული პროექტების მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი. საქართველოში არსებული სტაბილური და ხელშემწყობი ბიზნესგარემო იაპონიას ჩვენს რეგიონში ახალ საბაზრო შესაძლებლობებს უქმნის“, - წერს ირაკლი ღარიბაშვილი.

ამირან გურიელიძე

### უცხოეთი

დავოსში გუშინ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გაიხსნა. ოთხი დღის განმავლობაში ბიზნესლიდერების დღის წესრიგის მთავარი განსახილველი საკითხი რუსეთ-უკრაინის ომი იქნება. როგორც დავოსის ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტმა ბორგე ბრენდემ განაცხადა, მიმდინარე წლის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე რუსული კომპანიები და პოლიტიკოსები მიწვეულები არ არიან. „რუსეთი დაბრუნდება, თუ ისინი კვლავ დაიწყებენ საერთაშორისო სამართლის შესრულებას“,- განაცხადა მან.

* * *

პოლონეთი გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით რუსეთთან 1993 წლიდან არსებულ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას წყვეტს. „უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიამ დაამტკიცა პოლონეთის ხელისუფლების განზრახვის სისწორე, გახდეს სრულიად დამოუკიდებელი რუსული გაზისგან. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რომ „გაზპრომი“ არ იყო საიმედო პარტნიორი“, - განაცხადა პოლონეთის კლიმატისა და გარემოს მინისტრმა ანნა მოსკვამ. მისივე თქმით, ეს ნაბიჯი ადასტურებს ვარშავის სწრაფვას, გახდეს რუსული გაზისგან დამოუკიდებელი.

* * *

კრემლი „აზოვსტალის“ მებრძოლების ვიქტორ მედვედჩუკში გაცვლას ჯერჯერობით არ აპირებს - რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი მიიჩნევს, რომ ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან საქმე ეხება სხვადასხვა კატეგორიას. მანამდე დუმის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ სლუცკიმ განაცხადა, რომ რუსეთი პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დაახლოებული უკრაინელი პოლიტიკოსისა და ოლიგარქის, ვიქტორ მედვედჩუკის „აზოვსტალის“ მებრძოლებზე გაცვლის შესაძლებლობას განიხილავდა. მედვედჩუკი უკრაინაში რამდენიმე კვირის წინ დააკავეს.

* * *

ბრიუსელში სამმხრივი შეხვედრა გაიმართა სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შორის. მანამდე მიშელმა ევროპის პოლიტიკურ დედაქალაქში ფაშინიანთან და ალიევთან შეხვედრები ცალ-ცალკე გამართა. სომხეთის პრემიერმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან მთიან ყარაბაღში შექმნილ ვითარებაზე, ჰუმანიტარულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა.

* * *

კონფლიქტის, ძალადობის, ადამიანის უფლებების დარღვევისა და დევნის შედეგად მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ ადამიანთა რიცხვმა რეკორდულ ნიშნულს - 100 მილიონს გადააჭარბა, რაც გამოწვეულია უკრაინის ომისა და სხვა კონფლიქტებით“, - ამის შესახებ გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს განცხადებაშია აღნიშნული. გაეროს მონაცემებითვე, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ რვა მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილდა, ექვს მილიონზე მეტი კი საზღვრებს გარეთ გავიდა.

მოამზადა
ია შველიძე

# რა ადგილს დაიჭერს საქართველო მსოფლიოს ახალი წესრიგის პირობებში?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ მსოფლიო თანამეგობრობა კანონის უზენაესობის დაცვასა და დემოკრატიული რეფორმების გატარებაში მხოლოდ დაპირებებს დიდხანს არ შეეგუება. არც ისაა დასამალი, რომ გზა ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ წარმატებული ქვეყნის ხვედრია. სწორედ ამ მიმართულებით დასავლეთი, მეოთხედი საუკუნეა, საქართველოს ხელისუფლებებს რჩევებს აძლევს და ფინანსურადაც ეხმარება, რათა ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური გარემო და სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა იყოს, ამ მხრივ ხელისუფლებას, როგორც ვიცით, ოპოზიცია აკრიტიკებს. მათი თქმით, საქართველოს არსებული რეალობა მათი კრიტიკის მართებულობის არგუმენტია. რაა ის ასპექტები და ორიენტირი, რომელიც უთუოდ უნდა დავინახოთ, რომ პროგრესის გზას დავადგეთ. ამის თაობაზე „ლელო საქართველოსთვის" აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერ* ***ვაჟა დარჩიას*** *ვესაუბრეთ*

**- თავდაპირველად, საქართველოს შიდა პოლიტიკაზე ვისაუბროთ, რა თავისებურებებით ხასიათდება ბოლოდროინდელი პერიოდი?**

- საქართველოს შიდა პოლიტიკაზე არაერთხელ გვისაუბრია, მათ შორის თქვენთან და ამ მიმართულებით განსაკუთრებული სიახლეები, ჩემი აზრით, არ გვაქვს. ვხედავთ ისევ მაქსიმალურად პოლარიზებულ მედიასივრცეს და პოლიტიკურ დღის წესრიგს, სადაც მოქალაქეები საკუთარ თავს ვერ ხედავენ, ეს არის მთავარი პრობლემა. ყველა კვლევაში ჩანს, რომ საზოგადოებას უჭირს, ეკონომიკური მდგომარეობა არის ქართველი ხალხის პირველი საზრუნავი და დღეს, ამ მიმართულებით საზოგადოება არის კრიტიკული, როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის მიმართაც, რაშიც დიდწილად ვეთანხმები, თუმცა იმაზე, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის 20%-ზე მეტი ამ ქვეყანაში უმუშევარია, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ უნდა აგოს პასუხი, იმის თქმა, რომ ოპოზიცია ამ პირველადი აუცილებლობის საკითხებზე არ მუშაობს, არ მიმაჩნია სწორად, ვსაუბრობ „ლელოზე", რომლის საპარლამენტო გუნდი სწორედაც, ამ საკითხებზე მუშაობს. გარდა ამისა, ჩვენს გუნდს ჰყავს საკრებულოს 25 წევრი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, რომლებიც ჩართულები არიან პრობლემების იდენტიფიცირებისა და მოგვარების პროცესში, თუმცა, როგორც აღვნიშნე, პოლარიზებული სივრცე ამ პროცესებს ფარავს.

**- თქვენ რამდენიმე საკითხზე გაამახვილეთ ყურადღება და ხელისუფლების პასუხისმგებლობაც ახსენეთ, მმართველი გუნდი კი აცხადებს, რომ ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა...**

- ოპოზიციას არ სურს სიტუაციის გაბუქვა, ჩვენ ვამბობთ იმას, რაც არის. ყველა ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოების უმეტესობა იბრძვის გადარჩენისთვის, არის მძიმე ეკონომიკური ფონი, ამ ფონზე კი ინფლაცია, ფაქტობრივად, რეკორდულ ნიშნულზეა. ლარმა ბოლო პერიოდში მცირედით დაიწყო გამყარება, თუმცა ერთი თვის წინ ისიც რეკორდულად გაუფასურებული იყო. ვხედავთ, რა ღირს საწვავი, რომელიც ავტომატურად აძვირებს ყოველგვარ მომსახურებას. შესაბამისად, არ მგონია ხელისუფლების მიმართ კრიტიკა უსაფუძვლო იყოს, ეს არის სამწუხარო რეალობა, რომლის მომგვარებელიც უნდა იყოს ხელისუფლება, თუმცა ვხედავთ, რომ ამ მიმართლებით პროცესები მხოლოდ უარესდება და დღითი დღე იზრდება ჩვენი ქვეყნიდან ემიგრაციაში წასულთა რიცხვი.

**- რას ფიქრობთ ნიკა გვარამიას დაკავებაზე?**

- არასდროს ვყოფილვარ ნიკა გვარამიას გულშემატკივარი, არც მისი პოლიტიკური წარსულის და როგორც ჟურნალისტითაც დიდად არ ვიყავი მისით აღფრთოვანებული, თუმცა იმას, რომ მის გარშემო მიმდინარე პროცესი სრულიად პოლიტიზებულია, მგონი დიდი პოლიტიკური ცნობიერება არ სჭირდება. ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ცდილობს „ქართული ოცნება" ოპონენტების დადუმებას, როგორია მისი კრიტიკისადმი დამოკიდებულება, შესაბამისად, ამიტომ ვამბობ, რომ მისი ხელისუფლების პირობებში წარმოუდგენელია ვისაუბროთ დასავლური ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოზე - ისინი კრიტიკას პასუხობენ პოლიტიზებული სასამართლოთი, ასე ცდილობენ, რომ დაადუმონ კრიტიკოსები. წარმოუდგენელია 3 წლითა და 6 თვით ადამიანი დაიჭირო იმისთვის, რომ კერძო კომპანიის საკუთრებას იყენებდა საკუთარი ინტერესებისთვის, მაშინ, როცა დღეს ჩინოვნიკების აბსოლუტური უმრავლესობა ბიუჯეტის ფულს იყენებს და ამას თითქმის ყველა სახელმწიფო აუდიტის დასკვნის საფუძველზე ვხედავთ, ცოტა ხნის წინ, მაგალითად, ბათუმის მაჟორიტარმა, ბატონმა კონცელიძემ მობილური ტელეფონი შეიძინა ბიუჯეტის ფულით, ასევე გვახსოვს მოქმედი მერის საქმე საგზაო დეპარტამენტში, სადაც რამდენიმე მილიონზეა საუბარი, ეს ყველაფერი ცხადყოფს იმას, რომ ნიკა გვარამიას დაკავება მხოლოდ პოლიტიკური პროცესია და არა აქვს სამართლებრივი საფუძველი.

**- მმართველი პარტია იმასაც აცხადებს, რომ ოპოზიცია ცაიტნოტშია, რაც, მათი თქმით, გამოვლინდა თუნდაც ამასწინანდელ არჩევნებზე ბათუმსა და რუსთავში. ოპოზიციამ რატომ ვერ შეძლო ამომრჩევლის არჩევნებზე მიყვანა?**

- ჩვენი ხელისუფლება დღეს ბოროტი ხელმწიფის როლშია, რომელიც მუდმივად ოპოზიციას ესხმის თავს და ეს ასე უკვე წლებია გრძელდება, იმის მაგივრად, რომ საუბრობდნენ საკუთარ წარმატებებზე, მუდამ იხსენებენ წარსულს, მათთვის მთავარია მცდარი საზოგადოებრივი აზრის შექმნა და არაერთხელ ვნახეთ თუ რა რესურსს ხარჯავენ ამისთვის, იქნება ეს ჯიბის მედიასაშუალებების გამოყენებით, ექსპერტებით, ტროლ-ბოტებით თუ სხვა. შესაბამისად, რადგან ხელისუფლების მთავარი ხაზი ამ პოლიტიკის შენარჩუნებაა, ძნელია ვისაუბროთ ოპოზიციაზე ასე დამოუკიდებლად - ოპოზიციის დისკრედიტაცია არის ამ ხაზის მთავარი ნაწილი და რთულია ბრძოლა ზღვა კაპიტალისა და ადმინისტრაციული რესურსის წინააღმდეგ, „ქართული ოცნება" გადასულია ხელისუფლების ნებისმიერი გზით შენარჩუნებაზე და ეს ნათლად დადასტურდა ბოლო კანონით, რომელიც მათ პარლამენტში დააინიცირეს და ფაქტობრივად, მოარგეს ბათუმის საკრებულოს „ქეისს". ხედავთ, რომ ისინი ბათუმის საკრებულოს უმრავლესობასაც კი ვერ თმობენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ცნონ ბატონი რამაზ ჯინჭარაძის უფლებამოსილება.

> ,, *დღეს ოპოზიცია ყველაზე მეტად მრავალფეროვანია, რაც საქართველოში ოდესმე ყოფილა, შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა დღის წესრიგი და საკითხებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, რაც მთავარი წინაპირობაა დემოკრატიისა*

**- ამას წინათ „აირაიმ" მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა: მმართველ პარტიას 31 პროცენტი უჭერს მხარს, „ნაცმოძრაობას" - 16, სხვა პარტიების მაჩვენებელი უმნიშვნელოა, ეს რისი მანიშნებელია?**

- სიახლე არაა ის, რომ არჩევანი ჩვენს ქვეყანაში პოლარიზებულია, თუმცა 31%-ის მხარდაჭერა სახელისუფლებო გუნდისთვის რამდენად კარგია, ეს მეორე საკითხია. არცერთ დემოკრატიულ საზოგადოებაში პარტია, რომელსაც აქვს 31%-ის მხარდაჭერა, ხელისუფლებაში არ იქნებოდა. სწორედ ეს არის დღეს „ქართული ოცნების" ამომრჩევლის რეალური რიცხვი, დანარჩენი კი არის დაშინების, მოსყიდვის და სხვადასხვა მანიპულაციების შედეგი და ამას თვითონაც კარგად იაზრებენ. შესაბამისად, ამ კვლევას საყურადღებოდ, სწორედ ამის გამო მივიჩნევ, ის, რომ პატარა პარტიები ისედაც შეზღუდულ პოპულაციაში მცირე პროცენტს აიღებდნენ, ეს სიახლე არაა და ყველამ კარგად იცის.

**- დღეს თითქმის ყველა აღიარებს, რომ ოპოზიცია სუსტია, რა არის ამის მიზეზი და აქვე თანმდევი კითხვა: თქვენი პარტია რას აკეთებს იმისთვის, რომ ორპოლუსიანობა შეცვალოს, ანუ ქვეყნაში ჩამოყალიბდეს მძლავრი მესამე ძალა?**

- ამაზე მეტ-ნაკლებად ვისაუბრე. დღეს ოპოზიცია ყველაზე მეტად მრავალფეროვანია, რაც საქართველოში ოდესმე ყოფილა, შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა დღის წესრიგი და საკითხებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, რაც მთავარი წინაპირობაა დემოკრატიისა. არ შეიძლება ამის შედარება ხელისუფლებასთან, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, ერთპარტიულად მართავს პროცესებს. ჩვენი მთავარი სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ ვიღებთ კრიტიკას, რადგან ვსაუბრობთ პროდასავლურობაზე, სწორედ ეს მიმაჩნია მთავარ დასავლურ ღირებულებად - კრიტიკის მიღება შეგეძლოს. გვყავს ვიცემერი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში და ალბათ ხედავთ, რა პროცესები მიდის იქ - გაიხსნება მუსიკალური ცენტრი, უფასო აიტისკოლა, მუნიციპალიტეტში შედის კაპიტალი, რაც გააჩენს მეტ შესაძლებლობას წალენჯიხელებისთვის, შესაბამისად, ეს არის ის, რასაც „ლელო" აკეთებს, სადაც ამის რესურსი არსებობს. წალენჯიხის გარდა ჩვენ, როგორც უკვე აღვნიშნე, გვყავს დეპუტატი 25 მუნიციპალიტეტში და ყოველდღიურად ვცდილობთ, ვისაუბროთ მოსახლეობასთან, დავინახოთ არსებული პრობლემები და მათი ჩართულობით ვისაუბროთ გადაჭრის გზებზე.

**- ზოგიერთი ოპოზიციონერი თვლის, რომ ივანიშვილის მიმართაც ამოქმედდეს სანქციები, რაც მმართველი პარტიის დაშლას გამოიწვევს, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ეს არარეალურია, რას ფიქრობთ?**

- სანქციებზე საუბარი „ქართულმა ოცნებამ" თავად დაიწყო, ერთგვარი ისტერია მოაწყვეს და აალაპარაკეს ყველა, ვინც „ქართული ოცნების" ვალშია - ვატო შაქარიშვილი თუ სხვა. ვნახეთ წარმოუდგენელი განცხადებები, რომ თურმე თუ სანქციები დაუწესდება ივანიშვილს, აქციები მოეწყობა დასავლეთის წინააღმდეგ, ვნახეთ ამ აქციებზე მისვლის მსურველი დეპუტატებიც, ეს ყველაფერი ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ „ქართული ოცნება" დასავლეთს აღიქვამს მტრად და არა მოკავშირედ, სწორედ ეს არის დღეს „ქართული ოცნების" მთავარი პრობლემა თუ შეგნებული პოლიტიკური ხაზი, ნებისმიერ შემთხვევაში ეს რიტორიკა ვნებს ჩვენს დასავლურ მომავალს და საუბარი დაბალანსებულ პოლიტიკაზე არის მხოლოდ ამ არჩევანის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და მეტი არაფერი.

**- დიდი დისკუსიაა გაჩაღებული მესამე პრეზიდენტის უცხოეთის საავადმყოფოში გადაყვანა-არგადაყვანაზე. „ნაცმოძრაობამ" მიტინგები დააანონსა, თქვენი და პარტიის აზრი ამის თაობაზე?**

- ჩვენი გუნდი სრულ ნდობას უცხადებს სახალხო დამცველის მიერ შეკრებილ მედიკოსთა ჯგუფს. ვთვლით, რომ ექიმებმა უნდა გადაწყვიტონ, რამდენად აუცილებელია მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანა, თუ ეს ასეა, რა თქმა უნდა, ხელისუფლება ვალდებულია, ეს გააკეთოს და არ შეიძლება ეს პროცესი გადაიქცეს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად, „თუ ჭკვიანად იქნება, გადავიყვანთ" და მსგავსი რიტორიკით საუბარს მხოლოდ არასწორი გზით მივყავართ. პირობას ვდებ, რომ თუ იგივე სიტუაციაში აღმოჩნდებიან დღევანდელი ხელისუფლების ლიდერები, მაშინაც ვიქნები მათი სიცოცხლის უფლების დამცველი, ეს არის მთავარი და არა პოლიტიკური შეხედულებები.

**- კვლავ არ წყდება სჯა-ბაასი პარლამენტში ოპოზიციის ყოფნასთან დაკავშირებით, მაგალითად, გიგა ბოკერია აცხადებს, რომ ოპოზიციამ უნდა დატოვოს პარლამენტი, რას იტყვით?**

- დიახ, ბოლო პერიოდში ისევ გააქტიურდა საპარლამენტო ბოიკოტის საკითხიც, მე ვთვლი, რომ ეს უნდა გადაწყდეს შეთანხმებულად, თუ ყველა ის პარტია, რომელიც პარლამენტში მიშელის დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ შევიდა, დატოვებს პარლამენტს, ეს შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი პროცესების დასაწყისი გახდეს, მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ დაინახოს, რა ფასი აქვს სიტყვის არშესრულებას, მაგრამ თუ ამ საკითხში ვერ შეთანხმდნენ ხელმომწერი პარტიები, მაშინ ეს იქნება გათელილ გზაზე დაბრუნება.

**- არასაპარლამენტო ოპოზიციისგან განსხვავებით, საპარლამენტო ოპოზიცია რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას აღარ ითხოვს, რაც შალვა ნათელაშვილის თქმით, საპარლამენტო ოპოზიციის ხელისუფლებასთან ალიანსს ცხადყოფს, თქვენი აზრი ამის შესახებ?**

- შალვა ნათელაშვილის მხრიდან არ გვიკვირს ასეთი რადიკალური შეფასებები, ალიანსებზე საუბარი ამ მომენტში არასერიოზულია. რიგგარეშე არჩევნები მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ეს ვერ მოხდება, ეს არის პირადად ჩემი, როგორც პოლიტიკით დაინტერესებული მოქალაქის აზრი, მეტიც - ვადამდელი არჩევნები „ქართული ოცნებისთვის" შეიძლება იყოს გამოსავალი ტექნიკური კუთხით, რადგან თუ ეს არჩევნები ჩატარდება, ეს მოხდება არსებული წესით, რაც ყოველთვის ამარტივებს ხელისუფლების გამარჯვებას, ვგულისხმობ მაჟორიტარულ არჩევნებს, გარდა ამ დეტალებისა, ეს არის პროცესი, რომელიც უნდა დაიწყოს ხალხმა და არა პოლიტიკოსებმა, დღეს, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მზაობა ამ საკითხის ირგვლივ არ იკვეთება.

**- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით კომპანია „ბორჯომს", ხომ არ კარგავს საქართველო ამ ბრენდს? მისი დაბრუნებისთვის რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?**

- ჩვენმა ლიდერებმა „ბორჯომი" აქციეს საქართველოს ელჩად, პროდუქტად, რომელიც იყო იდენტობის მარკერი ქართველებისთვის, არადა, ვნახეთ, რომ „ქართულმა ოცნებამ" ჩვენი ლიდერების დისკრედიტაცია სწორედ ამ საკითხით სცადა, საზოგადოებას კარგად ახსოვს „ბორჯომის" ირგვლივ განვითარებული მოვლენები და რაციონალური ხელისუფლება ითანამშრომლებდა ჩვენს ლიდერებთან, თუმცა მსგავსი სასტარტო პოზიციით, რა თქმა უნდა, ისინი გამორიცხავენ ყველანაირ თანამშრომლობას.

**- საგარეო საკითხსაც შევეხოთ, რას იტყვით ევროკავშირის კითხვართან დაკავშირებით და აქვე თანმდევი კითხვა: რა აჩვენა მსოფლიოს უკრაინა-რუსეთის ომის მესამე თვემ?**

- „ქართულ ოცნებას" მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურმა პროცესებმა მისცა შანსი იმისა, რომ ნათლად დაენახოს მსოფლიოს, რომელ მხარეს დგას, თუმცა არათუ ჩვენი საერთაშორისო მეგობრები, მოქალაქეებიც კი ვერ დაგვარწმუნეს იმაში, რომ ისინი ნამდვილად არიან ქვეყნის დასავლური არჩევანის ერთგულნი. მიმდინარე პროცესებისადმი იმ დამოკიდებულებით, რასაც დღეს ჩვენი ხელისუფლება გამოხატავს, წარმოუდგენელია, ვისაუბროთ ხელშესახებ შედეგზე ევროინტეგრაციის მიმართულებით. დღეს უკრაინაში მიმდინარე სამხედრო დანაშაულმა დაანახა მთელ მსოფლიოს, როგორია პუტინის რუსეთი დ ბოროტება, რომელიც თითქოს ყველამ იცოდა, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ვერ საუბრობდნენ ამაზე, დღეს კი ცივილიზებული სამყარო ღიად უპირისპირდება მას და საბოლოოდ აუცილებლად დაამარცხებს კიდეც.

**- ყველა მსოფლიო ომის შემდეგ იქმნება უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა, ჩვენმა ქვეყანამ ამ ახალ წესრიგში რომ ღირსეული ადგილი დაიკავოს, ხელისუფლებამ რა ნაბიჯები უნდა გადადგას?**

- ეს არის დღეს ერთ-ერთი მთავარი კითხვა ჩვენი ხელისუფლების მიმართ, მიმაჩნდა და დღემდე ვფიქრობ, რომ საერთაშორისო დღის წესრიგში საქართველოსა და უკრაინის საკითხი ერთად უნდა დამდგარიყო და ამის რეალური შანსიც არსებობდა, ის კი არა, პრაქტიკულადაც ხორციელდებოდა, თუმცა ჩვენი ხელისუფლების გაუგებარმა არგაღიზიანების პოლიტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს უკრაინელი მაღალჩინოსნები საქართველოს შავ სიაში მყოფ ქვეყნად მოიხსენიებენ, სადაც რუსები ცდილობენ სანქციების თავის არიდებას. საერთაშორისო საზოგადოება უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ უკრაინა არ არის მხოლოდ უკრაინა და შემდეგი შეიძლება ჩვენ ვიყოთ, ისევე, როგორც ჩვენს შემდეგ გახდა აგრესიის სამიზნე უკრაინა. ეს უნდა იყოს პოლიტიკის მთავარი ხაზი და არა ის, რომ თურმე თუ სანქციებს არ შევუერთდებით და რძეს და ვაშლს გავყიდით რუსეთში, პუტინი თავს არ დაგვესხმება. უკრაინამ აჩვენა მსოფლიოს, რომ რუსეთს არ სჭირდება საბაბი და მიზეზი რევიზიონისტული პოლიტიკისთვის, რადგან საბჭოთა კავშირის აღდგენა აქვს მიზნად დასახული.

**- დაბოლოს, კვლავ საშინაო პოლიტიკას დავუბრუნდეთ, პასუხგაუცემელი კითხვები რამდენად იწვევს საზოგადოების გაღიზიანებას ხელისუფლებისა და ასევე, ოპოზიციისადმი?**

- იმედგაცრუება და ნიჰილიზმი სწორედ პასუხგაუცემელი კითხვების დამსახურებაა. ეს დიდწილად, ეხება ხელისუფლებას, თუმცა ოპოზიციასაც აქვს პრობლემა ხალხთან კომუნიკაციისა და ეს სამწუხარო მოცემულობაა. ოპოზიცია უნდა ელაპარაკოს ყველას, გასცეს კითხვებს პასუხი, ხშირად იმ კითხვებსაც, რომლებზე პასუხიც ხელისუფლებას არ აქვს. მუდმივი კომუნიკაცია და ყოველდღიური უკუკავშირი ხალხთან არის გამოსავალი, რომელიც დღევანდელი პოლიტიკური დღის წესრიგის პირობებში რთულია, თუმცა ფაქტია, რომ ამ ქვეყანაში ოდესღაც უნდა დაიწყოს ის პერიოდი, როცა პოლიტიკა იქნება ქვემოდან ზემოთ პროცესი და არა პირიქით.



# ზურაბ შილაკაძე: თეატრიდან წამოვედი, მაგრამ თეატრი ჩემთან დარჩა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*სალონურ საღამოზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ იმყოფებოდა მსახიობი ზურაბ შილაკაძე (საღამოს რეჟისორი - გურამ აბესაძე)*

ის უკვე 40 წელია, თეატრში არ არის, ამდენივე ხანი არც ბათუმში ცხოვრობდა. მეორე წელია, მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. თავიდანვე გეტყვით, რომ შეხვედრა თბილი და მოგონებებით დახუნძლული იყო. ბატონმა ზურაბმა გაიხსენა თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის წლები. მას საოცარ ადამიანებთან ჰქონდა ურთიერთობა, გაუმართლა პედაგოგებში, რომელთა შორის იყვნენ გურამ საღარაძე, გიზო სიხარულიძე, საშა მიქელაძე, ასისტენტი - ნუგზარ ლორთქიფანიძე... მისთვის ეს იყო დიდი სკოლა და დიდი პასუხისმგებლობაც. პირველი საკურსო სპექტაკლი მესამე კურსზე იყო - „მთვარის დაბნელების ღამეს“. მას მეორე მოჰყვა... უმაღლესის დამთავრების შემდეგ გორის თეატრში გაანაწილეს, „თეთრი ბაირაღები“ იდგმებოდა. ამბობს, რომ გაუმართლა - თეატრში არაჩვეულებრივი მსახიობები დახვდნენ. სიყვარულით მოგვიყვა, როგორ მიიწვიეს და დაამტკიცეს ნანა ჯანელიძის ფილმში „პირველი მერცხალი“, რომელშიც ქართველ მსახიობთა შესანიშნავი კოჰორტა მონაწილეობდა. მოხდა ისე, რომ გორის თეატრის დირექტორმა გადაღებებზე არ გაუშვა, კინოში თამაშის სურვილი კი იმდენად დიდი იყო, რომ მიატოვა თეატრი და კინოგადაღებებზე მაინც წავიდა. გასაგებიცაა, ეს ხომ მისი პირველი ფილმი იყო, თანაც ისეთ მსახიობებთან, როგორებიც იყვნენ დოდო აბაშიძე, იპოლიტე ხვიჩია, ვასილ ჩხაიძე, დიმა ჯაიანი, გურამ ლორთქიფანიძე, თემურ თავართქილაძე და ბორის პაიჭაძე. დააბინავეს სასტუმრო „ფაზისში“ - ფოთში. დოდო აბაშიძე ცოტა გვიან ჩამოვიდა. ვერავინ იცნო, ისე გასუქებულიყო. ნანა ჯანელიძე „გაგიჟდა“, მაგრამ მსახიობი შეჰპირდა, რომ დაიკლებდა და მოახერხა კიდეც. რაც კადრს მიღმა ხდებოდა, იმას მთელ ეპოქად თვლის. მოსაგონებელი ძალიან ბევრი აქვს და ბედნიერად გრძნობს თავს, რომ მათთან ერთად იყო. ერთი რამ სტკენდა გულს - სხვა მსახიობები



თეატრის სპექტაკლებშიც ახერხებდნენ მონაწილეობის მიღებას, მას კი თეატრიდან წასვლა მოუხდა. ერთ დღეს ნანა ჯანელიძემ მსახიობებს რამდენიმე დღით შესვენება მისცა და ისიც თბილისში გაემგზავრა. ამ დროს დედაქალაქში ბათუმის თეატრის რეჟისორი დათო ხინიკაძე ჩავიდა, მოიკითხა და როცა გაიგო, თეატრში აღარ იყო, ბათუმში მიიწვია. გაუმართლა, აქ დახვდნენ იუსუფ კობალაძე, მურად ხინიკაძე, ნუნუ თეთრაძე, აკაკი მგელაძე, იური ცანავა, მანუჩარ შერვაშიძე, ნინო საკანდელიძე, კუკური გოგიბერიძე, თამარ სულხანიშვილი, ბერდია ინწკირველი, ნიაზ მესხიძე, კუკური ახალაძე და რაც მთავარია, კურსელები - აჭარის ჯგუფი. პერიოდულად სხვებიც ჩამოდიოდნენ, მათ შორის, თაზო თოლორაია. ბათუმური მოღვაწეობა შალვა ინასარიძის სპექტაკლით „მოგზაურობა ზღაპარში“ დაიწყო. ეს იყო საბავშვო სპექტაკლი, სადაც მწყემსის როლს თამაშობდა. მას მოჰყვა „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი“. გულთბილად გაიხსენა სპექტაკლები, ადამიანები, ყველა, ვისთანაც კი იმუშავა - ალი სამსონიას „წვიმიანი მზიანეთი“, ალექსანდრე ჩხაიძის „ხიდი“ და „საქმე გადაეცემა სასამართლოს“, „ნაცარქექია“, ლევან ღლონტი, ენვერ ჩაიძე, ნინო საკანდელიძე, მერაბ ხინიკაძე, ის რეჟისორები, რომლებიც მისთვის მნიშვნელოვანი იყვნენ. საინტერესო ეპიზოდებს ყვებოდა თავისი შემოქმედებითი ცხოვრებიდან. ძალიან თბილად ისაუბრა ალექსანდრე ჩხაიძის ფილმზე „საქმე გადაეცემა სასმართლოს“. როცა მას იღებდნენ, დრამატურგი მხარში ედგა (სალონურ საღამოს მისი ქალიშვილი მარინა ჩხაიძე ესწრებოდა). გაიხსენა მუშაობა სპექტაკლებზე „შთამომავლობა“, „მესამე თაობა“. ბედნიერად თვლის თავს, ნუნუ თეთრაძესთან ერთად რომ იდგა სცენაზე. ემადლიერება როგორც ბატონ ალექსანდრეს, ისე მის მეუღლეს, ქალბატონ ეთერს - ყურადღებისა და თბილი დამოკიდებულებისათვის.

...და ერთ დღეს წავიდა თეატრიდან, ჩავიდა მოსკოვში.

- შეიძლება, თეატრიდან წახვიდე, მაგრამ თეატრი მუდამ შენშია, ჩემგან არასოდეს წასულა. ზოგჯერ ისე ხდება, რომ იძულებული ხარ, ასეთი ნაბიჯი გადადგა. რატომ? რისთვის? - ამაზე პასუხი არ არის. წავედი თეატრიდან და მოვხვდი უდიდეს მეგაპოლისში - მოსკოვში. მყავდა ნაცნობები, მაგრამ ქალაქი ჩემთვის მაინც უცხო იყო. ნოსტალგია არსად ქრება, სულ შენთანაა. მაინტერესებდა, რა ხდებოდა თეატრში. პირველი წელი ძალიან გამიჭირდა. ენის უცოდინრობის გამო სპექტაკლებში ვერ ვითამაშებდი. გავხსენით კაფე, სადაც გამოდიოდნენ ძალიან ცნობილი შემსრულებლები. თავდაპირველად, საქართველოდან - რცხილაძე, წიკლაური, კვაშალი... მოგვიანებით ამ სალონურმა კაფემ დიდი პოპულარობა მოიპოვა უცხოელ მომღერლებშიც, - თქვა ზურაბმა.

მოგვიანებით გორკის სახელობის პარკში აგიტაციისა და პროპაგანდის ინსტრუქტორად მუშაობდა (ექვემდებარებოდა პარკის შემოქმედებით განყოფილებას). საკუთარ თავში ორგანიზატორული ნიჭიც აღმოაჩინა. დააწინაურეს, მისი ხელმძღვანელობით არაერთი ღონისძიება მოეწყო, მათ შორის „აფრიკის განთავისუფლების დღე“, „ლათინური ამერიკის დღე“, „ჩაის დღე“, რომელშიც ძალიან ბევრი ჩაის მწარმოებელი ქვეყანა მონაწილეობდა - შრილანკა, ბანგლადეში, ინგლისი. საერთაშორისო ღონისძიებებს ესწრებოდნენ ელჩებიც, ზოგჯერ მეუღლეებთან ერთად. ერთ ღონისძიებაზე მათ საკუთარი ქვეყნის კერძებიც კი წარმოადგინეს და ყველაფრის ორგანიზატორი ის გახლდათ. დიდი ხანი არ არის, რაც მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. როცა გარემონტებული თეატრი ნახა, გაოცდა. ამბობს, რომ ყველანაირი პირობები აქვთ როგორც მსახიობებს, ისე მაყურებლებს. როცა სპექტაკლებს დაესწრო, დარწმუნდა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობაც ჰყავს, მაია ცეცხლაძე ალისა ფრეინდლიხსაც შეადარა. წაიკითხა ლექსი, რამდენიმე სცენაც შემოგვთავაზა სპექტაკლებიდან, ერთ-ერთი - მსახიობ ავთო ქარჩავასთან ერთად.

არაერთმა გამომსვლელმა სიყვარულითა და სითბოთი ისაუბრა ზურაბზე, მათ შორის, სულიკო ინაიშვილმა, ბადრი თევზაძემ, ვახტანგ გიგინეიშვილმა, ოზურგეთის თატრის წარმომადგენლებმა. რეჟისორმა გურამ აბესაძემ გაიხსენა მსახიობის ბათუმის თეატრში მოღვაწეობის პერიოდი. მის პირველ სპექტაკლში „ეგორ ბულიჩოვი და სხვები“, ზურაც მონაწილეობდა.

- ის იყო ორგანიზებული, მუშაობდა დაღლამდე, არ ჰქონდა მნიშვნელობა, როლი ეპიზოდური იყო თუ მთავარი. როცა ის ეშმაკს თამაშობდა, საოცარი მოძრაობები ჰქონდა. ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ის ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა, - თქვა გურამ აბესაძემ.

საღამოზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილ მსახიობთა ხსოვნას. ზურაბ შილაკაძემ მადლობა გადაუხადა და მუხლებზე დაუჩოქა საყვარელ თეატრს.

- დღეს მეც ვღელავ ზურასთან ერთად და მასთან ერთად ვზეიმობ. მადლობა ბატონ ვახტანგ ღლონტს ამ პროექტისთვის. მე არ მინახავს, მსახიობი ემთხვიოს სცენას. მე მიყვარს ზურაბ შილაკაძე, - თქვა თამილა მეიშვილმა.

- მასზე, როგორც მსახიობზე, ნაწყენი ვარ - დასაკარგი მსახიობი ჩვენ არ გვყავს. ზურაბ შილაკაძე იყო მომხიბვლელი, საყვარელი, იღბლიანი, ნიჭიერი ახალგაზრდა. ზურაბ, შენ თეატრში გელოდებიან, - აღნიშნა თეტრმცოდნე მადონა თევზაძემ.

- ზურა მსახიობთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც ყველაფერი შეუძლია, ის უნივერსალურია. ვფიქრობ, თავიდან უნდა აიყვანონ ბათუმის თეატრში, ვუსურვებ მას, კიდევ შექმნას საინტერესო სახე ბათუმის თეატრში, - გვითხრა გურამ აბესაძემ.

- ჩემს დამოკიდებულებას ბათუმთან არ სჭირდება ბევრი ახსნაგანმარტება, ეს ჩემი ყველაზე საყვარელი ქალაქია. მინდა, თეატრისადმი ის სიყვარული და სითბო, რაც იყო, გაგრძელდეს, არ დაიკარგოს და ესტაფეტასავით გადაეცეს. მე წავედი თეატრიდან, მაგრამ თეატრი ჩემთან დარჩა და მუდამ ჩემთან იქნება, - გვითხრა ზურაბ შილაკაძემ, რომელმაც გულწრფელი მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, ვინც საღამოს ორგანიზებაში მონაწილეობდა.

# უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მსოფლიოს მოუწოდა, რუსეთს პასუხი ახლავე დაუბრუნოს და არ დაელოდოს მის მიერ ქიმიური, ბიოლოგიური ან ბირთვული იარაღის გამოყენებას. „ნუ ელოდებით სასიკვდილო გასროლებს, ნუ ელოდებით რუსეთის მიერ სპეციალური ქიმიური, ბიოლოგიური და, ღმერთმა არ ქნას, ატომური იარაღის გამოყენებას. არ შეუქმნათ აგრესორს შთაბეჭდილება, თითქოსდა მსოფლიო არ გაუწევს მას სათანადო წინააღმდეგობას. მაქსიმალურად დაიცავით თავისუფლება და ნორმალური, ყველასთვის სასარგებლო მსოფლიო წესრიგი“, - განაცხადა ზელენსკიმ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისადმი მიმართვისას.

* * *

დავოსის ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტი ბორგე ბრენდე უკრაინისთვის „მარშალის გეგმის“ შემოღების მოწოდებით გამოდის. ამის შესახებ მან გერმანულ გამოცემა „ზიუდდოიჩე ცაიტუნგ“-თან განაცხადა. „სამშვიდობო შეთანხმების გარეშეც კი, რომელიც მოცემული მომენტისთვის ნაკლებსავარაუდოა, ჩვენ უნდა დავიწყოთ მუშაობა რეკონსტრუქციაზე, სულ მცირე იმ ტერიტორიაზე, რომელიც უკრაინის კონტროლს ექვემდებარება. ჩვენ გვჭირდება „მარშალის გეგმა“ უკრაინისთვის“, - განაცხადა ბრენდემ. დავოსის ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტის განმარტებით, საუბარი ეხება ინფრასტრუქტურას, ელექტროენერგიას, სკოლებს, გზებსა და ხიდებს. როგორც ბრენდემ აღნიშნა, უკრაინისთვის „მარშალის გეგმის“ ამოქმედების მოწოდებით დავოსში ყოველწლიურ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გამოვა, რომელიც გუშინ დაიწყო. „ამ გეგმის განსახორციელებლად ჩვენ შევკრებთ კომპანიების ხელმძღვანელებს ლოზუნგით - გენერალური დირექტორები უკრაინისთვის“. უკრაინის აღდგენაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კერძო სექტორმა“, - განაცხადა ბორგე ბრენდემ. მან ასევე განმარტა, რომ ამა წლის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე რუსული კომპანიები და პოლიტიკოსები მიწვეულები არ არიან. „რუსეთი დაბრუნდება, თუ კვლავ დაიწყებს საერთაშორისო სამართლის ნომრების შესრულებას“, - განაცხადა მან.

* * *

„რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრიდან მესამე თვე სრულდება. ევროპა აგრძელებს მოსკოვში ყოველდღიურად მილიარდი ევროს გაგზავნას ნავთობისა და გაზის შეძენით. რუსეთი აგრძელებს ბავშვების მოკვლას, ქალების გაუპატიურებასა და ქალაქების განადგურებას. უკრაინელები აგრძელებენ ევროპული საზღვრებისა და დემოკრატიული ცივილიზაციის დაცვას. დასკვნები გამოიტანეთ“, - დაწერა უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველმა მიხაილო პოდოლიაკმა „ტვიტერზე“.

* * *

დონეცკის ოლქში ქალაქი ავდიივკა მუდმივი დაბომბვის ქვეშაა. „ავდიივკა მთელი ღამის განმავლობაში მტრის ცეცხლის ქვეშ იყო. საღამოს რუსებმა ქალაქი არტილერიით დაბომბეს, სულ მცირე, 20 სახლი და საბავშვო ბაღი დაზიანდა. დილით რუსებმა ავიაიერიში ქალაქის ძველ უბანზე მიიტანეს. დღის განმავლობაში, სულ მცირე, 3 მშვიდობიანი მოქალაქე დაშავდა“, - წერს დონეცკის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პავლო კირილენკო „ტელეგრამში“. როგორც ცნობილია, დონეცკის რეგიონის მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ამჟამად დაახლოებით 370 ათასი მცხოვრები რჩება, რაც მოსახლეობის 22%-ს შეადგენს.

* * *

ლუგანსკის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი გაიდაი სევეროდონეცკის რეგიონში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციას „ტელეგრამში“ ავრცელებს. „რუსებმა ცენტრალური ბაზრის 5 მაღალსართულიანი შენობა და სავაჭრო უბანი დააზიანეს, დაჭრილია მამაკაცი. 22 მაისს მტრის 11 შეტევა მოიგერიეს, 6 ტანკი, 10 ერთეული ჯავშანტექნიკა და 6 ერთეული ავტომობილი განადგურდა. საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა მტრის 1 უპილოტო საფრენი აპარატი Orlan-10 და Su-25 ჩამოაგდეს“, - წერს გაიდაი. შეგახსენებთ: უკრაინის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უკანასკნელი ანგარიშის მიხედვით, რუსულმა ძალებმა აქცენტი სევეროდონეცკის რეგიონზე გადაიტანეს.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერა კანონს, რომელიც რუსების სანქცირებული ქონების კონფისკაციის პროცედურას ამარტივებს, - ინფორმაციას უკრაინული მედია პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე დაყრდნობით ავრცელებს. „იმ სანქცირებული პირების აქტივების იდენტიფიცირებისა და კონფისკაციის პროცედურა, რომლებიც ამა თუ იმ გზით მხარს უჭერენ ოკუპანტების აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ, მტრების ხარჯზე უკრაინის ბიუჯეტის სწრაფად და ეფექტურად შევსების საშუალებას იძლევა. კანონი ითვალისწინებს მკაფიო მითითებებს ამ პროცესზე პასუხისმგებელი ორგანოებისთვის“, - განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით, დადგინდა, რომ ქონების მოძიებასა და სასამართლოსათვის მიმართვაზე პასუხისმგებელი იქნება ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო. სავარაუდოდ, ასეთი ორგანო იქნება იუსტიციის სამინისტრო. მან უნდა განახორციელოს სამუშაოები ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირების აქტივების იდენტიფიცირებასა და მოძიებაზე, რომლებიც ბლოკირებას ექვემდებარება.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# მოგონებები, რომლებიც არ ხუნდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*დარია თურმანიძისთვის ეს წელი დასამახსოვრებელი იქნება - გამოვიდა მისდამი მიძღვნილი წიგნი „ლამაზი სიცოცხლის პალიტრა“ და იუბილეც გადაუხადეს. იგი ჩვენი სტუმარია.*

**- საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრებით მოდიხართ.**

- მუდამ სიახლეების ძიებაში ვიყავი. ახალგაზრდები, ვისთანაც ვმუშაობდი, არასდროს უშინდებოდნენ სიძნელეებს, მონაწილეობდნენ მრავალფეროვან ღონისძიებებში...

**- მერისის ხეობის მკვიდრს, რა გაკავშირებთ მის წარსულსა და დღევანდელობასთან?**

- ეს არის ადგილი, სადაც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ჩემი მშობლები, დედმამიშვილები, ნათესავები. ის ჩემი ბავშვობის წლებია... სულსა და გულს ესალბუნება ნაბოსლავის, კოსლითავის მთების მწვერვალებიდან დანახული მერისი, თავისი ჩანჩქერებითა და გვახამორევათი, სილიბაურისა და გარეტყის დასასვენებელი სახლებით, საოჯახო სასტუმროებით და, რაც მთავარია, სტუმართმოყვარე ხალხით. ეს უძველესი ხეობა გამორჩეულია თავისი ტრადიციებით, უნიკალური ფოლკლორითა და ეთნოგრაფიით. ამიტომაც მას ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს უთვალავი ვიზიტიორი და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო გაიზრდება მათი რიცხვი.

**- იყო ქედელი ახალგაზრდობის წინამძღოლი, წამყვანი ფიგურა რაიონულ მმართველობაში, უხელმძღვანელო განათლების განყოფილებას, დარჩე პედაგოგის პროფესიის ერთგული, მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ. რას გაიხსენებთ?**

- განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში მაშინდელ აქტივთან ერთად მომზადებულ პირველ კონფერენციას, შეხვედრებს სკოლებში. სიყვარულით შემიძლია გავიხსენო შრომის ვეტერანებთან ჩატარებული ერთთვიური, შეხვედრები სამამულო



დან იღებს სათავეს და დღემდე გრძელდება. ერთად ვიყავით რაიონულ ღონისძიებებზე, კურსებსა თუ კონფერენციებზე. არასდროს გვავიწყდება ერთმანეთის საიუბილეო თარიღები, დაბადების დღეები. ამ ურთიერთობამ განაპირობა ჩიტო ომერაძის, რუსუდან ფაღავას, გულნარა ბასილაძისა და ეთერ დეკანაძის სტუმრობა ქედაში წიგნის „ლამაზი სიცოცხლის პალიტრა“ წარდგენაზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია ქალბატონ რენა სარიშვილთან (კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი, შემდგომ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი) ჩემი ურთიერთობაც.

**- ეროვნული გმირი ჟიული შარტავა როგორ შემორჩა თქვენს მეხსიერებას?**

- 1969 წელია... თბილისში ერთთვიან კურსებზე ვართ. ლექციები წაგვიკითხეს მეცნიერებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა

აუცილებლად გაგრძელდება.

**- მერისელი თურმანიძეების საქმიანობაზე რას გვეტყვით?**

- ვამაყობ ამ გვარით, რადგან არაერთი ღირსეული და წარმატებული წარმომადგენელი გვყავს. მინდა ხაზი გავუსვა ქემალ თურმანიძის დიდ შრომასა და წარმატებას. მან ქედის მოსწავლეთა სახლში იმუშავა, არის 1985 წლის საკავშირო ფესტივალების ლაურეატი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, თედო სახოკიას პრემიის ლაურეატი, ქედის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენოსანი. მერისის სახელი შორს გაიტანეს ლოტბარმა რევაზ თურმანიძემ და მისმა შთამომავლებმა: გურამ, ამირან, ჯემალ თურმანიძეებმა. ამ გვარის წარმომადგენლები აჭარული ღვინის სახლის ხელმძღვანელი თამაზ თურმანიძე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე და სხვები.

**- ყველაზე დიდი ტკივილი...**

- დედის გარდაცვალება, რომელიც ყველაზე ახლობელია ნებისმიერი ადამიანისათვის. ძალიან დამამწუხრა 1971 წელს საკუთარ კაბინეტში ქედის რაიკომის პირველი მდივნის ვლადიმერ ნაკაშიძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. იგი ახალგაზრდობის კარგი მრჩეველი და თანამდგომი იყო. ჩემს კარიერულ წინსვლაში მას უდიდესი წვლილი მიუძღვის. არ ვიქნები მართალი, რომ ჩემი სულერი დედის, საუკეთესო მეგობრის, ციალა სურმანიძის უდროოდ გარდაცვალების გამო ტკივილი არ გამოვხატო. „სიმამაცისა და ერთგულების სიმბოლო“ - ასე აწერია მისი სასუფევლის ქვას, რაც მკაფიოდ გამოხატავს მის მიერ განვლილ გზას. მადლიანი მამა სერაფიმეს სიკვდილმა ძალიან დამწყვიტა გული. მისი ღვაწლი უდიდესია ქედისა და ქედელების წინაშე. ზვარის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მან მაზიარა ნათლობის წმინდა საიდუმლოს.

**- მიზანი, რომელიც ვერ შეასრულეთ.**

რაიონის მაშინდელი პრეფექტის გადაწყვეტილება გავასაჩივრე, რამაც დამანახა, რომ სასამართლო ორგანოები ვერ უწევდნენ წინააღმდეგობას სახელისუფლებო ორგანოებს. ამიტომ ვნანობ საჩივრის შეტანას.

**- პროზა თუ პოეზია...**

- ჩემთვის პროზაც ძვირფასია და პოეზიაც.

**- სათაყვანებელი აღმზრდელი...**

- სიტყვა „მასწავლებელი“ ჩემთვის უდიდესი დატვირთვის მატარებელია. მასში ვხედავ რეალურ მრჩეველს, მდიდარი სულისა და გულის ადამიანს. სათაყვანებელი და საყვარელი მასწავლებლები იყვნენ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები, ბატონები სილოვან დადუნაშვილი და მიშა გადახაბაძე. ისინი ჩემთვის ქართული მათემატიკური სკოლის ვარსკვლავები იყვნენ.

**- კინოფილმ „მევლუდის“ გადაღების ორგანიზატორი იყავით...**

- 1979 წელს სსრ კავშირის უმღლეს საბჭოში ქედელებმა ცნობილი რეჟისორი რეზო ჩხეიძე ავირჩიეთ. წინასაარჩევნო შეხვედრაზე ვთხოვეთ, რომ ქართული კინოსტუდია დაინტერესებულიყო აჭარის შესახებ ფილმის გადაღებით. რეჟისორმა ნიკოლოზ სანიშვილმა დაიწყო პარმენ ლორიას რომან „მევლუდის“ მიხედვით ფილმის გადაღება. კარგად მახსოვს, როგორი სიხარულით შევხვდით მთელ კოლექტივს. განსაკუთრებული ყურადღებით იყო მოსილი მთავარი როლის შემსრულებელი ზურაბ ცინცქილაძე. ის ქედის 2018 წლის საპატიო მოქალაქეა. ამავე ფილმში ნუკრის როლი წარმატებით შეასრულა მამუკა გათენაძემ. აჭარაში შემოსული ყველა შემოქმედებითი ჯგუფი უმეტესად ქედას სტუმრობდა. ისინი ხვდებოდნენ სოფლებში მშრომელებს, რაც ახალისებდა მათ ცხოვრებას. ხშირი სტუმარი იყო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის დასი. მეხსიერებას შემორჩა აფხაზ და ოს პოეტებთან შეხვედრების დეტალები, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეების სტუმრობა. ქედელებისთვის სასურველი სტუმარი იყო სუხიშვილების სახელმწიფო ანსამბლი, სხვა კოლექტივები. ხშირად ჩამოდიოდნენ აჭარაში მოღვაწე მწერლები და პოეტები. არასდროს მიეცემა დავიწყებას ფრიდონ ხალვაშის დაბადების 50-ე და მე-60 წლისთავებისადმი მიძღვნილი იუბილეები, რომლებიც საერთო-სახალხო დღესასწაულებად გადაიქცა.

**- „შრომის ზეიმის“ წამოწყებას როგორ აფასებთ?**

- სახალხო დღესასწაულის „შრომის ზეიმის“ წინამორბედი გახლავთ „სასოფლო-სამეურნეო გამოფენები“, რომელიც XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს და მეორე მსოფლიო ომამდე გრძელდებოდა. 1975 წლიდან საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის ინიციატივით, განახლებულ ღონისძიებას „შრომის ზეიმი“ ეწოდა, რომელსაც, სასოფლო-სამეურნეო გამოფენების პარალელურად, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ნიმუშების გამოფენა, ხოლო 1978 წლიდან ქორწილების გადახდაც დაემატა, 1985 წელს კი დაწესდა „ქედის საპატიო მოქალაქის“ წოდებაც.

> *ვთხოვეთ, რომ ქართული კინოსტუდია დაინტერესებულიყო აჭარის შესახებ ფილმის გადაღებით. რეჟისორმა ნიკოლოზ სანიშვილმა დაიწყო პარმენ ლორიას რომან „მევლუდის“ მიხედვით ფილმის გადაღება. კარგად მახსოვს, როგორი სიხარულით შევხვდით მთელ კოლექტივს. განსაკუთრებული ყურადღებით იყო მოსილი მთავარი როლის შემსრულებელი ზურაბ ცინცქილაძე*

ომის მონაწილეებთან, კომკავშირის რაიკომის ყოფილ პირველ მდივნებთან... 1971 წელს ამირჩიეს პარტიის ქედის რაიკომის მდივნად. ჩემი საზრუნავი მუდამ იყო მშრომელი ადამიანი, მსურდა მათი ტკივილითა და სიხარულით მეცხოვრა. დიდი ინტერესით ვერთვებოდი საკითხის გადაწყვეტაში მაშინ, თუ საქმე ქალს, დედას ეხებოდა, მით უმეტეს, მრავალშვილიანს. ჩემი მუშაობის პერიოდში მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ქალი. ქალებს ვირჩევდით უმაღლეს საბჭოში დეპუტატებად, სასოფლო საბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეებად, სკოლების ხელმძღვანელებად.

**- პიროვნება, რომელმაც გზა დაგილოცათ?**

- არიან ადამიანები, რომლებიც ჩემი ცხოვრების საწყის ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდნენ. გამოვარჩევდი ბატონებს - ოთარ ბეჟანიძესა და მურად დოლიძეს, რომლებიც დამიდგნენ გვერდით დაბრკოლებების გადალახვისას. განსაკუთრებით მინდა გავიხსენო მაშინდელი ქედის რაიკომის პირველი მდივნის ვლადიმერ ნაკაშიძის ჩემდამი გამოჩენილი თანადგომა. მისი რეკომენდაციით ამირჩიეს კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად და ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრების გზასავალი მის მიერ იყო კურთხეული.

**- აჭარაში მომუშავე წარმატებულ ქალებთან ურთიერთობები საიდან იღებს სათავეს?**

- კომკავშირისა და პარტიის რაიკომის მდივნად ჩემი მუშაობის პირველ წლებში, აჭარაში ქალი მდივნები არ იყვნენ. გავიდა ცოტა ხანი და ქალბატონი ნანი გუგუნავა აირჩიეს ხელვაჩაურის რაიკომის მდივნად (შემდგომში აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, აწ გარდაცვლილი). უმოკლეს დროში თანამდებობებზე დაინიშნენ: ნათელა დუმბაძე, გულნარა ბასილაძე, ჩიტო ომერაძე, ეთერ დეკანაძე, რუსუდან ფაღავა და რუსუდან ფუტკარაძე. შეიქმნა მეგობართა გუნდი, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლები-

მუშაკებმა. გავიცანით რესპუბლიკის თითქმის ყველა პირველი მდივანი, ჩემი კოლეგები. სწორედ აქ მომეცა შესაძლებლობა მომესმინა შინაგან საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძისთვის, რომლის ორსაათიანი ლექციით არ დავკმაყოფილდით და მეორე დღესაც მოვიწვიეთ. აქ გავიცანი ბატონ ვახტანგ პაპუნიძე. ვისაუბრეთ და განსაკუთრებული სიამაყით გავუსვი ხაზი იმას, რომ მისი დედულეთიდან - მერისიდან ვიყავი. გავიცანი კომკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ჟიული შარტავა (შემდგომში საქართველოს ეროვნული გმირი). მისი დამოკიდებულება საქმისადმი, კოლეგებისადმი, ადამიანებისადმი მუდამ მისაბაძი იყო. ის ქვეყნისათვის ილვწოდა და სანთელივით ილვენთებოდა. მისი სულიერი სინათლე გადასწვდა სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით, დროებით ოკუპირებულ აფხაზეთსაც.

**- სიცოცხლეში ადამიანებზე წიგნი ნაკლებად იწერება. „ლამაზი სიცოცხლის პალიტრის“ დაწერის იდეა ვისგან წამოვიდა?**

- 2016 წელს, ყოფილი თანამშრომლების შეკრებაზე გადაწყდა, რომ მომდევნო შეხვედრები გამართულიყო საზოგადოების წევრთა საიუბილეო თარიღების მიხედვით. თამაზ აბულაძემ გამოთქვა აზრი, რომ თანამშრომელთა გაერთიანებისათვის ეწოდებინათ „ქედელთა მეგობრული კავშირი „ძველი ახალგაზრდები“. სწორედ ამ საზოგადოებაში, გუნდის გამორჩეული წევრის გიორგი ტაკიძისგან წამოვიდა იდეა, ჩემ შესახებ წიგნი დაეწერათ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ჩემს კოლეგას, განსაკუთრებით, აწ გარდაცვლილ გიორგი ტაკიძესა და მისი იდეის ხორცშემსხმელებს - თამაზ აბულაძესა და ჟუჟუნა შარაძეს.

**- ავტორების მუშაობას როგორ აფასებთ?**

- 40 წელზე მეტია ერთად მოვდივართ, ერთმანეთისადმი პატივისცემით ვართ განწყობილნი და ბევრჯერ გავიმეორებ - ეს ურთიერთობა ისეთ ნიშნულზეა აყვანილი, რომ

- სკოლაში სწავლის პერიოდში ყველამ იცოდა, რომ ექიმობა მსურდა, ვემზადებოდი კიდეც ამისთვის, მაგრამ ამ სურვილს გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი, რომლებმაც თბილისში წასვლაზე უარი მითხრეს.

**- საქმე, რომელიც სანანებელი გაგიხდათ?**

- 1988-1991 წლებში ვმუშაობდი ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. 1991 წელს აღნიშნული თანამდებობიდან გამათავისუფლეს, რაც უკანონობად ჩათვალა ქედის მაშინდელმა პროკურორმა... ქედის

# აჭარის უმაღლესი საბჭო – საუკეთესოთა ხუთეულში

აჭარის უმაღლესი საბჭო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგში ქვეყნის მასშტაბით კვლავ ლიდერობს და საჯარო უწყებების საუკეთესო ხუთეულშია. ინფორმაციას აჭარის უმაღლესი საბჭო ავრცელებს. მისივე ცნობით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ანგარიშის თანახმად, 2021 წელს, ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სრულყოფილი სახით და 10-დღიანი ვადის დაცვით გამცემი 13 უწყება გამოვლინდა, რომელთაგან 3 აჭარიდანაა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტრო).



ანგარიშის წარდგენისას, IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროს ზურაბ ჭურკვეიძეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის სიგელი გადასცა.

„ინსტიტუტი მონიტორინგის შედეგად, საქართველოში ყველაზე ღია და დახურულ საჯარო უწყებებს ყოველწლიურად ასახელებს. აღსანიშნავია, რომ აჭარის უმაღლესი საბჭო ბოლო წლებია, საჯარო დაწესებულებებს შორის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა და საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებს, რაც მის ლიდერობას განაპირობებს.

IDFI-ის ანგარიშის პრეზენტაციაზე, აჭარის საკანონმდებლო ორგანოსთან ერთად, სიგელები იმ უწყებებს გადაეცათ, რომლებმაც 2021 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აჩვენეს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან ბურიეღიძე

# „...გრძნობ, რომ რკინის ხდები, რკინას კი ცრემლი არ მოსდის“

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

***შორიდან ვერ უყურა, ადგა და წავიდა, სჯეროდა და სჯერა, რომ ძალიან მალე ბოროტება დამარცხდება, რადგან მსოფლიოში აღარ არის იმათი დრო, ვინც უდანაშაულო ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს უმოწყალოდ აწამებს და კლავს***

ფსიქოლოგ **ზურა ქარჩავას** ბათუმში თითქმის ყველა იცნობს, ახლა კი ახერხებს, უკრაინაში უკრაინელებს უკრაინისათვის, საქართველოსათვის და, ზოგადად, სინათლის სიბნელეზე გამარჯვებისათვის მებრძოლ ჯარისკაცად გააცნოს თავი. გთავაზობთ ზურას მიერ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სტატუსს, ერთგვარ დღიურს, რომელშიც ასახულია განცდები უკრაინაში ჩასვლის დღიდან - დღემდე.

„მესამე თვე ილევა. ამ ბოლო დროს სულ უფრო ნაკლებად მძინავს. ყველაფერი მომენატრა... პირველი დღეები ყოველთვის მძაფრია. რა დამავიწყებს პირველი განგაშის გამაყრუებელ ზარს უკრაინაში ჩამოსვლის ღამეს. შუაღამისას, ლვოვის რომელიღაც საგანმანათლებლო დაწესებულების ცეკვის დარბაზში, იატაკზე, საძილე ტომრებში გაყინულებს და გზით გადაღლილებს წამებში უნდა ჩაგვეცვა ტანსა და ფეხზე, რათა დაცულ ადგილას სირბილით გავსულიყავით. იმის შემდეგ, მესამე თვეა ტანსაცმელი არ გამიხდია, ისე მძინავს. იმ ღამით ჩემი და ლადოს მხოლოდ წამიერი მზერა საკმარისი იყო, რომ ერთი და იგივე აზრი გაგვჩენოდა თავში. არც ერთს სიტყვა არ გვითქვამს, თუმცა მერე, დროთა განმავლობაში, როგორც გაირკვა, ორივეს ერთი და იგივე აზრი გვქონდა - ნამდვილად ომში ვართ უკვე და ნამდვილად მეტად სწრაფი და მოძრავი უნდა ვიყოთ დღეიდან.

პირველი დღეები ყოველთვის მეტად ემოციურია. უამრავი საინტერესო და სახიფათო რამ გავიარეთ. თითოეული ქართველი ბიჭი, რომელიც აზრზე არ იყო ამ პროცესის და



დღემდე ჩვენ გვერდით იმყოფება - გაზრდილია ყველა მხრივ. დღეს უკვე თითოეული ნამდვილად სახიფათოა მტრისთვის იმიტომ, რომ დღეს უკვე თითოეულმა დანამდვილებით იცის, რა, როგორ და როდის უნდა გააკეთოს. მესამე თვე იწურება. მონატრება სულ უფრო და უფრო ეპარება გულსა და გონებას. მიუხედავად მომავალი სირთულეებისა, რომლებშიც აუცილებლად გავყოფ თავს, პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩემს თავს კარგად ვიცნობ, დღეს სასიამოვნოდ მობილიზებული ვარ. აქ თითოეულ ჩემ გვერდით მყოფის ერთი მოძრაობის მიხედვითაც უკვე შემიძლია, მოძრაობას მიმართულება მივცე. აქ დრო ხშირად ძალიან ნელა გადის. უბრალოდ, სულ სხვა ომია. მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ უკმაყოფილებას განვიცდი, ჯერ კიდევ ვერ ვახერხებ გულიანად გავიცინო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგარმა ბიჭებმა დაგვტოვეს... მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, პირადად არ იცნობდე, ასეთ ვითარებაში ისევე გტკივა, როგორც საკუთარი ოჯახის წევრზე. ყველაზე რთული კი ის არის, ვერ გამოხატავ ტკივილს, ნელ-ნელა შრები, რაღაცნაირად გრძნობ, რომ რკინის ხდები, რკინას კი ცრემლი არ მოსდის...

პირველი დღეები - იატაკზე წოლისგან გაუსაძლისად გტკივა ძვლები, დღეს კი ორმილიმეტრიანი პარალონიც კი სასიამოვნო განცდას განიჭებს. ის კი არა, იატაკზე წოლის პოზიტიურ მხარეებზე დაფიქრების შემდეგ, ღიმილით გეძინება. ეს პროცესი არასდროს დასრულდება. ეს პროცესი გრძელდება ბოლო ამოსუნთქვამდე. მხოლოდ ასე თუ მიხვდები, რომ ყველაზე მთავარია, რისთვის და როგორ ცხოვრობ, სიკვდილი კი, ამასთან შედარებით, ტკბილი სიზმარია.

მესამე თვე იწურება, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, თუ რისთვის ვართ აქ. მესამე თვე გადის, არის უამრავი კარგი ამბავი, თუმცა ძალიან მძიმე დანაკარგების გარეშე ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, არ ჩაუვლია. წუხილისთვის აქ ბევრი დრო არ გვაქვს, წამებში უნდა იტირო და იგლოვო. ყველაფერი ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს. მადლობა, ჩემო თავო, რომ მეგობრობ ჩემთან. თავს გაუფრთხილდით. მოკითხვები - ყველას“.

გვინდა, ჩვენი და მკითხველის სახელით, სამშობლოში მშვიდობით და გამარჯვებით დაბრუნება ვუსურვოთ ზურას.

# თასი - ხულოელ ფრენბურთელებს

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***ქედაში მრავალი წარმატებული სპორტსმენი აღიზარდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში აქაურმა კალათბურთელმა გოგონებმა გაიბრწყინეს. მათი წარმატება ცხმორისელი ავთანდილ ბერიძის სახელს უკავშირდება***

ცნობილი პედაგოგი და მწვრთნელი წუთისოფლიდან ნაადრევად წავიდა. მისი სახელის უკვდავსაყოფად, მეგობრებმა ფრენბურთში ხსოვნის ტურნირი დააწესეს, რომელსაც ადგილობრივი სკოლების გუნდების ბაზაზე ატარებდნენ. 2020-2021 წლებში, პანდემიის გამო, ტურნირი აღარ ჩატარებულა.

ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, ავთანდილ ბერიძის ხსოვნის ტურნირი ისევ განახლდა, ამჯერად, გაფართოებული ფორმატით. სპორტულ პაექრობაში ქობულეთის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ქედისა და ხულოს სკოლების მოსწავლე ვაჟები ჩაერთნენ.

ასპარეზობა საზეიმოდ გაიხსნა. სპორტსმენებსა და გულშემატკივრებს მიესალმნენ და ავთანდილ ბერიძის საქმიანობას კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დურმიშხან შავიშვილმა, მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ, ქალაქ ბათუმის №5 და სოფელ ცხმორისის საჯარო სკოლების დირექტორებმა მერაბ ხარჩილავამ, პაატა აბაშიძემ, ვეტერანმა სპორტსმენებმა, ავთანდილ ბერიძის მეგობარმა ილია არძენაძემ, ქედის რესურსცენტრის თანამშრომელმა ნადიმ ზანაქიძემ.

ფინალში ერთმანეთს ქედელი და ხულოელი ფრენბურთელები დაუპირისპირდნენ, სადაც ამ უკანასკნელმა იმარჯვა (ტუნაძეების საჯარო სკოლის



გუნდი) და თასიც დაისაკუთრა. მესამე ადგილზე ქალაქ ბათუმის მეხუთე საჯარო სკოლის მოსწავლეები გავიდნენ. საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს შეჯიბრების ორგანიზატორებმა, ავთანდილ ბერიძის მეგობრებმა მედლები და სიგელები საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

- ბატონი ავთანდილი თაობების დამკვალიანებელი, წარმატებული პედაგოგი და მწვრთნელი იყო. ის უყვარდა თანასოფლელებს, სპორტის ქომაგებს, მის აღსაზრდელებს. მან იმ დროს ჩამოაყალიბა ქედელ გოგონათა კალათბურთის გუნდი, როცა გოგონებს დიდი ასპარეზი არ ჰქონდათ. გუნდმა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით წარმატება მოიპოვა. ორგანიზატორებმა ტურნირის განახლებითა და რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან და ბათუმიდან გუნდების მოწვევით კარგი საქმე გააკეთეს. ასეთ ღონისძიებებს ქედის მერიისგან მხარდაჭერა ყოველთვის ექნება, - გვითხრა ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ.

# ღვიძლის ცხიმოვანი დაავადება და მასთან ბრძოლა

**ქეთევან კილაძე 593 73 45 74**

***ღვიძლი რომ ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი ორგანოა და 500-ზე მეტ ფუნქციას ასრულებს, სასკოლო სახელმძღვანელოდანაც ბევრს ახსოვს***

სამწუხაროდ, ღვიძლის ფუნქციის დარღვევა ყოველთვის აშკარა არ არის, დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველია, სწორედ ეს არის საბედისწერო, რადგან როცა სიმპტომები იჩენს თავს, შესაძლოა, უკვე შორს წასული დესტრუქციული პროცესები გამოვლინდეს ღვიძლის ქსოვილში. ერთ-ერთ ასეთ პათოლოგიას წარმოადგენს ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება, რომელსაც უმეტესად სიმსუქნე და შაქრიანი დიაბეტი იწვევს.

სტეატოზი ღვიძლის უჯრედებში - ჰეპატოციტებში ცხიმის ანომალიური დაგროვებაა. სტეატოზი უმეტესად არ პროგრესირებს. გამოყოფენ დაავადების განვითარების ორ ეტაპს: სტეატოჰეპატოზს - გაცხიმოვნება შედარებით მცირეა, არ მიმდინარეობს ანთებითი პროცესი, არ ზიანდება ღვიძლის უჯრედები; სტეატოჰეპატიტს - ღვიძლში ცხიმების ჩალაგებას ღვიძლის ქსოვილის ანთება და ჰეპატოციტების დაზიანებაც ახლავს თან. ზოგჯერ იგი გადაიზრდება ღვიძლის ქსოვილის ფიბროზში (დანაწიბურება), ციროზში და ზოგჯერ ღვიძლის კიბოდაც შეიძლება გართულდეს, 100-დან 20 შემთხვევაში.

დაავადების განვითარებას გენეტიკური განწყობაც განსაზღვრავს. სტეატოზის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ჭარბი წონა მიიჩნევა, განსაკუთრებით მუცლის არეში კონცენტრირებული ცხიმი. ყველაზე ხშირი მიზეზი კი არის შაქრიანი დიაბეტი ტიპი II და ინსულინრეზისტენტობაც (მდგომარეობა, როცა ინსულინის რაოდენობა ნორმალურია, მაგრამ ორგანიზმის მგრძნობელობა მის მიმართ - დაქვეითებული, გლუკოზის დონე - მაღალი). გარდა გლუკოზის მაღალი დონისა და ქოლესტეროლისა, რისკფაქტორებია ასევე: მეტაბოლური დარღვევები, პოლიცისტური საკვერცხის სინდრომი, ძილის აპნოე, ჰიპოთირეოდიზმი, ჰიპოპიტუიტარი-



ზმი (ჰიპოფიზის ფუნქციის დაქვეითება), საშუალო ან ხანდაზმული ასაკი, ჰიპერტონია, წონის სწრაფი დაკლება, ზოგიერთი ინფექცია (მაგ. C ჰეპატიტი), ზოგიერთი მედიკამენტი (კორტიკოსტეროიდები, კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატები), ტოქსინები, ნაღვლის ბუშტის ამოკვეთა.

დაავადება მიმდინარეობს თავიდან უსიმპტომოდ ან მცირედ გამოხატული სიმპტომებით: სისუსტე, დაღლილობა, ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში. ამ დროს ღვიძლი გადიდებულია. თუ დაავადებამ პროგრესი განიცადა, სტეატოჰეპატიტსა და ციროზში გადაიზარდა, ჩამოყალიბდება უფრო თვალსაჩინო კლინიკური სურათი: ასციტი (სითხე მუცლის ღრუში), სისხლძარღვთა გაგანიერება, გინეკომასტია (მამაკაცებში სარძევე ჯირკვლის გადიდება), ელენთის გადიდება (სპლენომეგალია), პალმარული ერითემა (ხელისგულების შეწითლება), კანისა და სკლერების სიყვითლე.

დაავადების დიაგნოზის დადასტურებაში გვეხმარება ღვიძლის ფერმენტების (ALT, AST, ტუტე ფოსფატაზა) განსაზღვრა, ანუ ღვიძლის ფუნქციური სინჯები, სისხლის საერთო ანალიზი, ლიპიდური სპექტრი, რკინის ცვლის დადგენა, ინსულინრეზისტენტობისა და გლუკოზის დონის განსაზღვრა. მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა გვაწვდის ინფორმაციას ღვიძლის სტრუქტურის შესახებ. ღვიძლის ფიბროზის ხარისხის დასადგენად ტარდება ელასტოგრაფია. ზოგჯერ დამატებით ტარდება ღვიძლის ბიოფსიური კვლევაც.

ღვიძლის სტეატოზის სპეციფიკური მკურნალობა არ არსებობს. მთავარია რისკფაქტორების თავიდან აცილება, კვების მოწესრიგება, წონის კონტროლი, ფიზიკური აქტიურობა, ჰიპერგლიკემიისა და ლიპიდური სპექტრის რეგულირება. ციროზით გართულების შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი ღვიძლის გადანერგვაა.

პრევენციის მიზნით საჭიროა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, საკვებად ხილის და ბოსტნეულის არჩევა, მარცვლეულზე და ჯანსაღ ცხიმებზე კონცენტრირება; ივარჯიშეთ, მეტი იმოძრავეთ, მოერიდეთ ალკოჰოლს, თამბაქოს.

თუ ღვიძლის ცხიმოვანი დაავადების დიაგნოზი ადრეულ სტადიაში დაისვა და ექიმის რჩევებს პაციენტი ზედმიწევნით შეასრულებს, პროგნოზი კეთილსაიმედოა. პროცესის პროგრესირებისას (1-2%-ში) 20 წელიწადში შესაძლოა ღვიძლის ციროზი განვითარდეს. თუ სტეატოზს თან ერთვის შაქრიანი დიაბეტი, B და C ჰეპატიტი, ვილსონის დაავადება, ციროზი 8-10 წელიწადშია მოსალოდნელი (10-12%-ში). სტეატოზი თავად არის გულ-სისხლძარღვთა და თირკმლის დაავადებების რისკფაქტორი. ამიტომაც ჯანსაღი კვება და ზომიერი ფიზიკური აქტივობა ჩვენი ჯანმრთელობის ოქროს სტანდარტია.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 23/05/22, 20 25 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „როგორ გაჩნდნენ დევები“

## დალი თედორაძის ზღაპრების კრებული

ხატია იაშვილი 555 18 48 88

***გაზეთის სტუმარია აჭარაში ერთადერთი მეზღაპრე ქალბატონი დალი თედორაძე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება და მით უმეტეს, როგორც თავად უწოდებს - საზოგადოების ყველაზე საოცარი სეგმენტი - ბავშვები, კარგად იცნობენ***

ერთი თვეა რაც მისი ზღაპრების კრებული „როგორ გაჩნდნენ დევები“ გამოიცა და უკვე იქცა ჩვენი შვილების სამაგიდო წიგნად. კრებულში ხუთი ზღაპარია: „დათუნიას ჯადოსნური ბაღი“, „მწვანე მელიების სამფლობელო“, „როგორ გაჩნდა ცისარტყელა“, „რეჯის საოცარი თავგადასავალი“ და „როგორ გაჩნდნენ დევები“.

დალი თედორაძე ბათუმში დაიბადა. დაამთავრა ხელვაჩაურის რაიონის წინსვლის საშუალო სკოლა, შემდეგ ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი სკოლამდელი აღზრდის სპეციალობით. სწავლა გააგრძელა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ფაკულტეტზე ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობით.

„ვმუშაობდი საბავშვო ბაღში აღმზრდელად. 1999 წლიდან დღემდე ვმუშაობ თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრში, ჯერ მუზეუმის გამგედ, შემდეგ მარკეტინგის მენეჯერად. თოჯინების თეატრში დაიდგა ჩემი საბავშვო პიესები, ინსცენირებები. ვარ ძალიან ბევრი ლიბრეტოს, სიმღერის ტექსტის ავტორი. ძალიან ლამაზი, უშუალო და თბილი ურთიერთობა მაქვს ჩვენი საზოგადოების ყველაზე საოცარ სეგმენტთან - ბავშვებთან. ამის დასტურია, ჩემი საავტორო პროექტი „მოგზაურობა ჯადოსნურ სამყაროში“, რომლის მიზანია, დავაინტერესო ბავშვები თეატრით, იქ განხორციელებული საოცარი სპექტაკლებით და, რაც მთავარია, ვაჩვენებ, სად იბადება, იქმნება თოჯინა. როგორ მოძრაობს, მღერის, ცეკვავს. ვაცნობ თეატრის ისტორიას, სად და როდის გაჩნდა ზოგადად, თოჯინა და საიდან მოდის ეს სახელწოდება“, - გვიყვება დალი თედორაძე.

ქალბატონმა დალიმ შემოქმედებითი მუშაობა ძალიან ადრე დაიწყო. წერდა ლექსებს, ჩანახატებს, მოთხრობებს. რომანსაც კი შეეჭიდა, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ მისი სული და გული საბავშვო ლიტერატურა იყო. „აქ ვიყავი ბედნიერი, გალაღებული. დავფრინავდი უკიდეგანო, უსაზღვრო ფანტაზიის სამყაროში, სადაც ყველაფერი ვარდისფერი, კრიალა და სუფთაა. ვწერდი და ვხვდებოდი, რომ ჩემი შთაგონება უმანკო, გაცისკროვნებული, უბოროტო, სიხარულით და ბედნიერების სურვილით სავსე პატარა ანგელოზების თვალები იყო. ვწერდი და ვხედავდი ჩემს ბავშვობას - მზის სხივების ყვითელ და ქარვისფერი ათინათს, ეზოში ჩვენთან ერთად მოთამაშეს. ვგრძნობდი, ხილაბანდწაკრული, მზისგან გარუჯულ ხელებზე სიბერის ხალებდაფენილი დიდედა ტკბილი ხმის ტემბრით, მოყოლის საოცარი მანერით, მოციმციმე თვალებით, რომელშიც მისგან მოგონილი თუ წაკითხული ზღაპრის გმირები ჭინკებივით დახტოდნენ, როგორ მიბიძგებდნენ, მეწერა ბავშვებისთვის. სულ რაღაც ერთი თვეა გამოვიდა ჩემი კრებული „როგორ გაჩნდნენ დევები“, რომელშიც ხუთი ზღაპარი შედის. წიგნი გააფორმა ჩვენი თეატრის მხატვარმა მირანდა გურგენაძემ. როგორც ვიცი, აჭარაში პირველი მეზღაპრე ვარ, თანაც ქალი და თანაც, აჭარელი. 2004 წელს მწერალთა სახლმა გამოსცა ჩემი საბავშვო ლექსების კრებული „განდაგანა“, მას შემდეგ ვიბეჭდებოდი პერიოდულ პრესაში და ლიტერატურულ ჟურნალ „ჭოროხში“, - ამბობს ქალბატონი დალი.

ერთ ბედნიერ დღეს კი, როგორც ჩვენი სტუმარი ამბობს, გამომცემლობა „ქართულის“ დამფუძნებელი მათე კბილაძე დაინტერესდა მისი ზღაპრებით და გადაწყვიტა გამოეცა წიგნი. დაიბეჭდა 2 ათასი ეგზემპლარი, რომელიც იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით. ქალბატონ დალის ხშირად იწვევენ სკოლებში, საბავშვო ბაღებში. „ვკითხულობთ, ერთად განვიხილავთ ზღაპრის სიუჟეტს. ბავშვები თავიანთი წარმოსახვით აგრძელებენ ზღაპარს, ხატავენ პერსონაჟებს ან მთლიან სიუჟეტს. სამომავლოდ მინდა გამოცემა ახალი წიგნისა - „ალქაჯების სამფლობელო“. ახლა ვმუშაობ და ძალიან მინდა მოვასწრო, საახალწლო საშობაო წიგნის გამოცემა, რომელშიც მხოლოდ საახალწლო ზღაპრები შევა“, - გვითხრა დალი თედორაძემ.



წარმატებას ვუსურვებთ მეზღაპრე ქალბატონს, რომელიც კიდევ ბევრ ბავშვს შეაყვარებს წიგნის კითხვას.

**სიცილი ბავშვის**

*ცელქი სიოს კისკისია,*
*თუ რაკრაკი ნაკადულის?*
*იქნებ, ფოთლის სიმღერაა,*
*ანდა, ჩიტის ფრთახატულის.*
*იქნებ, იქნებ ცის და მიწის,*
*მოწკრიალე მზის სხივია.*
*ანდა, იქნებ ყვავილებზე*
*დილის ნამის ციმციმია.*
*იქნებ, ღრუბელს გამოექცა*
*წვიმის წვეთი პაწაწინა.*
*იქნებ მთვარემ ვარსკვლავები,*
*იავნანით დააძინა.*
*ნარნარმა და ტკბილმა ხმებმა*
*გულში სითბო ჩამიღვარა.*
*ამ სითბომ და ჰარმონიამ*
*აივანზე გამიყვანა....*
*ახლა მივხვდი, თუ რამ შექმნა*
*საოცარი იდილია.*
*გულწრფელი და ლაღი ხმები*
*თურმე ბავშვის სიცილია.*

# სიცილიაში მოღვაწე ქართველის ახალი წიგნი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14




***მწერალ და მთარგმნელ მაია ტურაბელიძის სახელი „აჭარის“ მკითხველისთვის უცხო არაა. ეს ურთიერთობები შარშან დაიწყო***

უკვე სამზეოზეა საყმაწვილო წიგნი მისი ავტორობით „სიცილია ვულკანების მხარე“ ის საუბრობს სიცილიის ღირსშესანიშნაობებზე, განსაკუთრებით, ევროპის ყველაზე აქტიურ ვულკან ეტნაზე. ნაწარმოები შემეცნებით პროზას მიეკუთვნება და ყმაწვილებს მხატვრულად უხსნის საინტერესო თემებს, როგორიცაა ევროკავშირის არსი, იტალიისა და სიცილიის გეოგრაფიული მდებარეობა, ვულკან ეტნას სტრუქტურა, ეკოლოგიური მნიშვნელობა და მოსახლეობის მასთან დამოკიდებულება. წიგნი გამდიდრებულია დოკუმენტური ფოტოებით, რომელთა უმეტესი ნაწილი ავტორის მიერაა გადაღებული. იგი ეტნას მწვერვალზე არაერთხელაა ნამყოფი და საქართველოს სასწავლებლებისთვის, თვალსაჩინოებისთვის, ლავის ქვებიც აქვს ჩამოტანილი.

წიგნი უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა და გამოცემულია საგამომცემლო სახლ „სეზანის“ მიერ (დირექტორი - მანანა კარტოზია), რომელსაც მაია მადლობას უხდის.

„სიცილია ვულკანების მხარე“ წარდგენილია ამავე გამომცემლობის სერიაში - „ბავშვობის თანამგზავრები“. სერია, მართლაც, საინტერესო და მნიშვნელოვანი წამოწყებაა ბავშვის გონებრივი და ფსიქომოტორული განვითარებისთვის. ის სრულიად შეესაბამება ნებისმიერ ასაკს და ტოვებს საუკეთესო შთაბეჭდილებას.

# საიუბილეო გამოფენა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ცნობილმა მხატვარმა სიმონ ართმელაძემ ხულოში სამხატვრო სკოლას დაუდო სათავე. მამის სახელოვან გზას აგრძელებენ შვილები - ბადრი და ესმა. ესმა ხულოს სახელოვნებო სკოლის დირექტორია, ბადრი - სამხატვრო გალერეის***

რამდენიმე წლის წინ ხულოს მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, სიმონ ართმელაძის ნახატები წიგნი-ალბომის სახით გამოიცა. თავის შემოქმედებას ახალი ნახატებით ამდიდრებს ბადრი.



ამ დღეებში დაბა ხულოს სამხატვრო გალერეაში მხატვარ ბადრი ართმელაძის 65 წლის იუბილისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო ხელოვანის მიერ შესრულებული 65 ფერწერული ტილო. იგი დაათვალიერეს აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძემ, ხულოს მუნიციპალიტატის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, საზოგადოების წარმომადგენლებმა.

- ბადრი ართმელაძეს პროფესიულ კარიერაში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, - გვითხრა გურამ ფუტკარაძემ, - იგი მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, დაჯილდოებულია საქართველოს მხატვართა კავშირის დიპლომით „სახვითი და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საქმეში გაწეული წვლილისათვის“, არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, წარმატებით უძღვება მომავალი მხატვრების აღზრდას.



# აჭარის ჩემპიონატი - ქართულ ჭიდაობაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***40-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა ქედის სასპორტო სკოლის დარბაზში გამართულ აჭარის ჩემპიონატში ქართულ ჭიდაობაში***



ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმნენ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები გელა ზოიძე, აკაკი მახარაძე, ქედის სასპორტო სკოლის დირექტორი მანუჩარ ჯიჯავაძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია, საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე.

შერეულ ასაკში მოასპარეზეთა შორის ჩემპიონები გახდნენ ქედელი მარად გორგაძე, ხულოელი ასლან ხმალაძე, შუახეველი სულხან აბაშიძე, ქობულეთელი რუსლან შავაძე, შუახეველი ნიკა ზოიძე.

საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს თასები, მედლები და სიგელები გადაეცა. დაკომპლექტდა აჭარის ნაკრები, რომელიც საქართველოს პირველობაზე და 5-6 ივნისს ირანში - საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ.

- მე უკრაინელი ლტოლვილი ვარ. დაბაძველში გელა ზოიძის ოჯახს ვარ შეკედლებული, რომელმაც ჩემპიონატზე მიმიწვია. საინტერესო და მიმზიდველი ორთაბრძოლები ვნახე. ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული, - გვითხრა აპიემ გუდზიმ.

# ევროპის მოსახლეობამ საუკეთესოდ ტალახაძე აღიარა




ევროპის ძალოსნობის ფედერაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, სადაც ხმის მიცემა ელექტრონულად მიმდინარეობდა, კონტინენტის მოსახლეობამ საუკეთესოდ ლაშა ტალახაძე ცნო - ხმათა უმრავლესობით მსოფლიოს მრავალგზის უძლიერესი ძალოსანი ევროპაშიც საუკეთესოდ დასახელდა. აღსანიშნავია, რომ ევროპის ფედერაციამ საუკეთესოთა გამოსავლენად გამოკითხვა პირველად ჩაატარა და კონტინენტის ჩემპიონატების 100 წლის იუბილეს დაამთხვია.

ლაშა ტალახაძეს ჯილდო ალბანეთში, ევროპის ჩემპიონატის გახსნის საიუბილეო ღონისძიებაზე გადაეცემა.

ამირან ბურიელიძე